შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (9.869)

23 - 30 მარტი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არავითარი უფლებები! მხოლოდ ვალდებულებები

მისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ...

ქართული გაზეთი 200 წლისაა

გუბერნატორმა 2019 წელს დაგეგმილი პროექტები წარადგინა

ირაკლი ქადაგიშვილი: „ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ყველა სახელმწიფო უწყებასთან და დაინტერესებულ მხარესთან, მიმდინარეობს ბიზნესგეგმის შემუშავება, საჭიროა თელავში არსებული აეროპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა საწყის ეტაპზე აღდგეს შიდა ფრენები კახეთიდან, ბათუმის, ქუთაისის და სვანეთის მიმართულებით“

„არავინ დატოვო მიღმა“

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე დედოფლისწყაროში

ცხადდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა გამარტივებული კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე.

განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ. გვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 28 მარტის ჩათვლით.

ვაკანსია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა ღია კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი.

განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ.გვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 31 მარტის ჩათვლით.

ორი ავარია ორი მსხვერპლით

ვერ ეგუებოდა მეგობრის სიკვდილს, სასწრაფოს აღარ დაელოდა, ჩქარობდა და ორივე ადგილზე დაიღუპნენ



არხილოსკალო

ზემო ქედი

C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს- კობა ქურციკიშვილი. კობა ქურციკიშვილი დაიბადა 1982 წელს დედოფლისწყაროში, დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სათბობ-ენერგეტიკული დარგების მენეჯმენტის სპეციალობით. 2006 -2012 წლებში მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალებში, ხოლო 2015-2018 წლებში - კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს არხილოსკალოს პოლიციის განყოფილების უფროსის (დეტექტივ-გამომძიებელი) პოსტს იკავებდა.

მან ამ თანამდებობაზე გიორგი ნასრაშვილი შეცვალა. კობა ქურციკიშვილი სამსახურის უფროსად ღია კონკურსის წესით შეირჩა. ის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად უკვე შეუდგა.

გუბერნატორმა 2019 წელს დაგეგმილი პროექტები წარადგინა

19 მარტს, ქ.თელავში, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის - ირაკლი ქადაგიშვილის ბრიფინგი - პრეზენტაცია გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო 2019 წელს, კახეთის რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი, განსახორციელებელი პროექტებისა და ყველა მნიშვნელოვანი სიახლეების შემაჯამებელი ანგარიში. ბრიფინგს ესწრებოდნენ: მედიის წარმომადგენლები და კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები.

პრეზენტაციის დროს, სახელმწიფო რწმუნებულმა დამსწრე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიანოდა იმის თაობაზე, თუ რამდენად დატვირთული, საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების წელი იქნება კახეთისთვის 2019 წელი.

პრეზენტაციის დროს, კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მიერ დაანონსდა მაისის თვეში, კახეთში დაგეგმილი საერთაშორისო რეგიონული საინვესტიციო ფორუმის ჩატარების თაობაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ - მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი და სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული უამრავი უცხოელი ინვესტორი. ეკონომიკური ფორუმის კახეთის რეგიონში გამართვის ინიციატივა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ეკუთვნის, რომელსაც მხარი დაუჭირა ცენტრალურმა მთავრობამ.

„მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და მოლაპარაკებები სხვადასხვა უწყებებთან საერთაშორისო რეგიონული საინვესტიციო ფორუმის კახეთის რეგიონში გამართვასთან დაკავშირებით. ეს ფორუმი ჩატარდება სპეციალურად კახეთის რეგიონისთვის. ფორუმზე მოწვეული იქნებიან უცხოელი ინვესტორები, რომელთაც ადგილზე წარვუდგენთ კახეთის რეგიონის პოტენციალს, ასევე გავაცნობთ რეგიონის განვითარების ხედვასა და კონცეფციას. ვფიქრობთ, კახეთის რეგიონში ფორუმის ჩატარება კარგი პლატფორმა იქნება სამომავლოდ სხვა რეგიონებისთვის“-აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებული ასევე გამოეხმაურა ბოლო პერიოდში მედიის დაინტერესებას შიდა ფრენების აღდგენის თაობაზე „ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ყველა სახელმწიფო უწყებასთან და დაინტერესებულ მხარესთან, მიმდინარეობს ბიზნესგეგმის შემუშავება, საჭიროა თელავში არსებული აეროპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა საწყის ეტაპზე აღდგეს შიდა ფრენები კახეთიდან, ბათუმის, ქუთაისის და სვანეთის მიმართულებით“ — განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

არავითარი უფლებები!

მხოლოდ ვალდებულებები...

იმავე ლოგიკით, რომ თანამედროვე სამყაროში გარდაუვალი მხოლოდ გადასახადები და სიკვდილია, ერთ დღეს თქვენ შეიძლება უწყლოდაც დარჩეთ. მიზეზი მარტივია- გადასახადის გადაუხდელობა. დღეს ყველაფერი იყიდება, მათ შორის წყალიც. წყალმომარაგების კომპანია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც აბონენტების ვალდებულებას განსაზღვრავს, ზედმიწევნით ასრულებს, მაგრამ, თუ ტექნიკური სამუშაოების გამო თქვენ წყალმომარაგების შეწყვეტა გემუქრებათ, ამის შესახებ ინფორმაცია მობილურ ტელეფონზე გამოგზავნილი შეტყობინების სახით მოგივათ, სულ რაღაც 4, ანდაც 6 საათის დაგვიანებით... ამ დროს არავის ახსოვს, რა წერია იმავე ხელშეკრულების იმ ნაწილში, სადაც წყალმომარაგების კომპანიის ვალდებულებებსა და მომხმარებლის უფლებებზეა საუბარი...



ᲢᲠᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ, ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲐ,

დედოფლისწყარო საქართველოში ერთ-ერთია იმ რაიონებს შორის, სადაც წყალმომარაგების საკითხი კვლავ მწვავედ დგას. გაჩეხილმა მწვანე საფარმა და ზაფხულობით გვალვამ წყლის დონის კლება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება წყლის დებეტის გასაზრდელად ალტერნატიული წყაროების მოძიებაზე აქტიურად მუშაობს, ეს წყალმომარაგებაზე ჯერ ვერ აისახა.

14 წლის გვანცა ყოველ დილით 7 საათზე მიდის წყაროზე, რომელიც მისი სახლიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული. წყლის ჭურჭლით სავსე ურიკას მიაგორებს და გონებაში გაკვეთილს იმეორებს. დროდადრო მაჯაზე იხედება, დეიდის ნაჩუქარ საათზე დროს ამოწმებს... სულ რაღაც ერთი საათი აქვს იმისთვის, რომ სახლში სამ მცირეწლოვან და-ძმასა და ავადმყოფ დედას წყალი მიუტანოს, საჭმელი მოუმზადოს და სკოლაშიც არ დააგვიანოს. მის სოფელში სკოლა აღარაა, წლების წინ მცირეკონტიგენტიანი სკოლა დაიხურა, ამიტომ ის მეზობელ სოფელში იღებს განათლებას. მისი მიზანია, კარგად ისწავლოს, პროფესიას დაეუფლოს და საკუთარი შრომით ცხოვრების ისეთი პირობები შეიქმნას, სადაც წყლისთვის ყოველდღიურად კილომეტრების გავლა აღარ მოუწევს. კომფორტი მისთვის ყველაზე სანუკვარი ოცნებაა, სადაც წყალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აი, მერე კი აღარ იქნება დილემის წინაშე- წყაროდან მოტანილი წყლით სადილი მოამზადოს, სახლი დაალაგოს თუ ტანსაცმელი გარეცხოს...

გვანცას მსგავსად ამ პრობლემის წინაშე მის სოფელში ბევრი ადამიანი დგას.

თავწყარო დედოფლისწყაროს ცენტრიდან ყველაზე ახლოს მდებარე სოფელია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, აქაურ მოსახლეობასაც პრობლემები ნაკლები უნდა ჰქონდეს, თუმცა, ეს ასე არ გახლავთ. სოფელი თითქმის დაცლილია, ათეული წლების წინ ოსებით დასახლებულ ადგილს რამდენიმე მოსახლე ამაგრებს, ძირითადად მოხუცები. წლების განმავლობაში ისინი წყალს დასახლებული პუნქტიდან მოშორებით მდებარე წყაროდან ურიკებით ეზიდებოდნენ, დღეს სიტუაცია შეცვლილია-ახალმა ხელისუფლებამ მათ წყალმომარაგებაზე იზრუნა და საუბნო ონკანები დაამონტაჟა. როგორც სოფლის მკვიდრი მანანა ამბობს, მათი შრომა საგრძნობლად შემსუბუქდა, ზოგმა წყალი სახლებშიც შეიყვანა. ხოლო მათ, ვისაც ამის საშუალება არ აქვს, საუბნო ონკანებიდან ეზიდება წყალს, ზოგი კვლავ ურიკით, ზოგი - სხვადასხვა ჭურჭლით...

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც თავწყაროელი ქალების წინაშე დგას, ეს სარეცხი მანქანების უქონლობაა. თუმცა ზოგიერთი მათგანი ამას მტკივნეულად სულაც არ განიცდის, რადგან მიაჩნია, რომ საუბნო ონკანებმა მათი შრომა უკვე შეამსუბუქა. „ჩვენ წყალს იმხელა მანძილიდან ვეზიდებოდით, რომ ახლა ეს სიტუაცია ჩვენთვის სამოთხეა. მიჩვეულები ვართ ხელით რეცხვას, მთავარია, წყალი გვქონდეს“-აცხადებს მაყვალა ბებო.

ამ სოფლის მოსახლეობისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრებ ქალბატონებს, რომელთაც კომფორტის ფასი უკეთ იციან და სარეცხი მანქანის მომსახურებასაც ფუფუნებად აღარ აღიქვამენ. მათ კომფორტს საშიშროებას ზაფხულის გვალვა უქმნის, როდესაც წყლის დონე საგრძნობლად იკლებს და წყალმომარაგების კომპანიაც მედია საშუალებებით მოსახლეობის გაფრთხილებას იწყებს, რომ სასმელი წყალი ეკონომიურად მოიხმარონ... 2018 წლის ზაფხულში დედოფლისწყაროს წყაროები თითქმის დაშრა, ამიტომ შესაბამისმა უწყებამ, როგორც თავად ამბობდა, იძულებითი გრაფიკი დააწესა წყლისათვის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში წარმოუდგენელი იყო სარეცხი მანქანებით სარგებლობა. გაცილებით გაუმართლათ მათ, ვისაც ალტერნატიული წყლის წყარო, ანუ საკუთარი ჭა ჰქონდა, მაგრამ როგორც მოსახლეობა აცხადებს, გვალვამ წყლის დონეზე აქაც უარყოფითად იმოქმედა. წინა წლის პრეცედენტის გათვალისწინებით,

წელსაც ზაფხულის მოახლოებას შიშით ელის მოსახლეობა, რადგან იცის, რომ წყლის გრაფიკი მას წყლისა და კომფორტის გარეშე დატოვებს. ამის შესახებ უკვე საუბრობს წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი ხელმძღვანელიც, რომელიც ამბობს, რომ 2018 წლის ზამთარში და 2019 წლის გაზაფხულზე არსებულმა გვალვამ წყლის დებეტს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. „ქალაქ დედოფლისწყაროსა და ხორნაბუჯში არსებულ წყაროებში უკვე შეიმჩნევა წყლის დონის კლება. ასე, მაგალითად, თუ შარშან ამ დროს, ე. წ. მაზოვკის წყაროზე დღეში 20 ლიტრი წყალი იყო აღრიცხული, ამ დროისათვის მხოლოდ 17 ლიტრი ფიქსირდება“...

ქედების ზონაში საბჭოთა კავშირის დროსაც კი მწვავედ იდგა წყალმომარაგების საკითხი. ამ სოფლებში სტუმრობისას ხშირად გაიგონებდით ხუმრობით ნათქვამ ფრაზას: „აქ შეგიძლიათ ყველაფერი მოითხოვოთ წყლის გარდაო“... მოსახლეობამ უწყლოობისგან ბრძოლის მეთოდებიც შეიმუშავა-ე.წ. „ბულაყები“, წყლის კაპიტალური ნაგებობები ააშენა, სადაც წყალს რამდენიმე დღის, ზოგჯერ კი კვირის მანძილზეც ინახავდნენ და სარგებლობდნენ. მოკლედ, ქედების სამ სოფელში-ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში წყალი ყველაზე დიდ ფუფუნებად ითვლებოდა და მას ფასიც, პირდაპირი მნიშვნელობით, ყველაზე მაღალი ჰქონდა. წყლის ბიზნესით დაკავებული ადამიანისთვის ქედებში საქმიანობა ყველაზე სარფიანი იყო. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ამ სოფლებში წყლის ქსელების რეაბილიტაციაზე დაიწყო საუბარი, მოსახლეობა ამ იდეას საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა, თუმცა, მათ გასაკვირად, პროექტმა გაამართლა. დღეს ქედების ზონა წყლით მარაგდება, მართალია, გრაფიკი ზოგ უბანში ისევ მოქმედებს, მაგრამ, როგორც აქაურები ამბობენ, „ რამდენიმე დღის ნადგამ წყალს ნამდვილად სჯობს“.

სოფელ მაჩხაანში მცხოვრები ქალბატონები ამბობენ, რომ სოფელში წყლის ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა, მაგრამ ორ უბანზე წყალმომარაგების პრობლემა ისევ დგას. „წყალი გრაფიკით მოგვეწოდება, ზაფხულში კი, პრაქტიკულად, უწყლოდ ვრჩებით, ამიტომ უბანში ვხუმრობთ -ხოლმე, რომ ცივილიზაციამ ჩვენამდე ჯერ ვერ მოაღწია“-ამბობს ქალბატონი, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს. **მის აზრს იზიარებს ბევრი დიასახლისი, რომელიც ამავე უბანში ცხოვრობს. მათი თქმით, ამ უბნელებმაც, იმის იმედით, რომ წყლის სიკეთე მათაც შეეხებოდათ, სარეცხი მანქანები იყიდეს, მაგრამ სარგებლობას ვერ ახერხებენ. ამიტომ მათ სახლებში დიასახლისისთვის ასე საჭირო ნივთს ჯერ მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატის ფუნქცია აქვს.**

მაჩხაანელთა ერთ ნაწილს კი მუდმივად აწუხებს წყლის სისუფთავის საკითხი. როგორც ამ უბნის მცხოვრებლები აცხადებენ, ერთი შეხედვით, მათ წყალმომარაგების პრობლემა მოეხსნათ, მაგრამ, ფაქტიურად, კვლავ უწყლოდ არიან დარჩენილები: **„ონკანზე ტალახიანი წყალი მოდის. მას ვერც ჭურჭლის გასარეცხად, ვერც დასაბანად და მით უფრო, ვერც სასმელად ვიყენებთ. უნდა ითქვას, რომ კვლავ უწყლოდ ვართ დარჩენილები“**-აცხადებენ ზემო მაჩხაანელები.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘᲡᲜᲝᲒᲐᲖᲔ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲒᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲕᲭᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. ᲘᲡ ᲦᲘᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲐᲓ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲕᲭᲐᲜᲓᲠᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲜᲘ ᲐᲠᲜᲘᲐᲜ. ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲑᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲒᲐᲡ. „ᲬᲧᲐᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲙᲘ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲣᲬᲧᲚᲝᲓ ᲕᲠᲩᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲕᲮᲣᲛᲠᲝᲑᲗ -ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲦ�წᲘᲐ“-ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲘᲜᲐᲮᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲮᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ �თᲐᲕᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ. **მის აზრს იზიარებს ბევრი დიასახლისი, რომელიც ამავე უბანში ცხოვრობს. მათი თქმით, ამ უბნელებმაც, იმის იმედით, რომ წყლის სიკეთე მათაც შეეხებოდათ, სარეცხი მანქანები იყიდეს, მაგრამ სარგებლობას ვერ ახერხებენ. ამიტომ მათ სახლებში დიასახლისისთვის ასე საჭირო ნივთს ჯერ მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატის ფუნქცია აქვს.**

ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲙᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲛᲐᲗ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲝᲔᲮᲡᲜᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲬᲧᲚᲝᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡᲔᲑᲘ: **„ᲝᲜᲙᲐᲜᲖᲔ ᲢᲐᲚᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲭᲣᲠᲭᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲔᲪᲮᲐᲓ, ᲕᲔᲠᲪ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲕᲔᲠᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲔᲚᲐᲓ ᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲗ. ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲬᲧᲚᲝᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡᲔᲑᲘ“**-ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲜᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘᲗᲝᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲬᲧᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲓ�გᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲕᲐᲚᲕᲐᲛ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲔᲑᲔᲢᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲐ. „ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲗᲣ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ, Ე. წ. ᲛᲐᲖᲝᲕᲙᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲖᲔ ᲓᲦᲔᲨᲘ 20 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲮᲚᲝᲓ 17 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲔᲑᲐ“...

ᲥᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔᲓ ᲘᲓᲒᲐ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲘᲗ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛ ᲤᲠᲐᲖᲐᲡ: „ᲐᲯ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲝ“... ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲣᲬᲧᲚᲝᲝᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ-Ე.Წ. „ᲑᲣᲚᲐᲧᲔᲑᲘ“, �წᲧᲚᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐ�გᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲐᲨᲔᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ, ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲙᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔᲪ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲥᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ-ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ, ᲐᲠᲮᲘᲚᲝᲡᲙᲐᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ �წᲧᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲤᲐᲡᲘᲪ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲬᲧᲚᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲔᲓᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ ᲛᲐᲡ ᲬᲧᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲓᲗᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲪ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲡᲣᲑᲣᲥᲓᲐ, ᲖᲝ�გᲛᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲣᲑᲜᲝ ᲝᲜᲙᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲖᲘᲓᲔᲑᲐ �წᲧᲐᲚᲡ, ᲖᲝ�გᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲠᲘᲙᲘᲗ, ᲖᲝ�გᲘ - ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲭᲣᲠᲭᲚᲘᲗ...

ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔᲓ ᲘᲓᲒᲐ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲘᲗ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛ ᲤᲠᲐᲖᲐᲡ: „ᲐᲯ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲝ“... ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲣᲬᲧᲚᲝᲝᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ-Ე.Წ. „ᲑᲣᲚᲐᲧᲔᲑᲘ“, ᲬᲧᲚᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐ�გᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲐᲨᲔᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ, ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲙᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔᲪ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲓᲜᲔ

„ჩვენც ვსწავლობთ და ბავშვებსაც ვასწავლით“...

მუსიკა ადამიანის განუყოფელი ნაწილია. ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი სფერო მუსიკითაა სავსე. ქართველებისთვის ის სავიზიტო ბარათიც კია. მუსიკის შესწავლა კი განსაკუთრებულად ზრდის, ანვითარებს და აყალიბებს მას. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სწორედ ამ საქმეს ემსახურება არბოშიკის სამუსიკო განყოფილებაც, რომელმაც ბევრი ნიჭიერი თაობა ალზარდა და გზები მუსიკის სამყაროსკენ გაუხსნა. ეს სკოლა ჩემი ბავშვობის ნაწილიცაა, ყოველთვის კეთილად და სასიამოვნოდ მახსენდება სწავლის პირველი წლები, სასწავლო გარემო, აქ შეძენილი მეგობრები, მასწავლებლები. არბოშიკის მუსიკალური სკოლის შენობა, აქ მომუშავე ადამიანები, მასწავლებლები და გარემო წლების განმავლობაში იცვლებოდა, მაგრამ მიზანი, ჩაუნერგო ახალგაზრდა თაობას მუსიკის სიყვარული, ეს არასოდეს იცვლებოდა. გაზეთი „შირაქი“ სამუსიკო განყოფილების ახლანდელ მდგომარეობაზე, პრობლემებზე თუ საჭიროებებზე სასაუბროდ განყოფილების უფროსს ლალი ბაღაშვილს ესტუმრა.

-ქალბატონო ლალი, რამდენი ადამიანი მუშაობს დღეს ამ განყოფილებაში და როგორია მათი ანაზღაურება?

დღეს-დღეობით სკოლაში სამი სპეციალობის მასწავლებელი ვართ. გუნდს, მუს. ლიტერატურას, ფორტეპიანოს და სოლფეჯიოს ვასწავლით. ფაქტობრივად, მხოლოდ ოთხი საგანია. ტექნიკური პერსონალიდან კი ერთი დამლაგებელი გვყავს. ანაზღაურებას რაც შეეხება, მასწავლებლებს წელს რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად მოგვემატა ხელფასი. გასულ წელსაც მოგვემატა. ჩვენ ნახევარ ბიუჯეტზე ვართ, მთლიან ბიუჯეტზე რომ ვიყოთ სხვა ხელფასი გვექნებოდა, მაგრამ ნახევარ ბიუჯეტზე რისი საშუალებაცაა ჩვენ და რაიონის სკოლას თანაბრად გვაქვს. არ არის ისე, რომ რაიონის სკოლას სხვა თანხა აქვს და სოფლის სკოლას სხვა. ყველანი თანაბარი უფლებებით ვსარგებლობთ. განაკვეთი ანაზღაურდება 17 ლარით. ანაზღურება დამოკიდებულია ბავშვთა და სასწავლო საათების რაოდენობაზე. დამლაგებელს რაც შეეხება, მას შედარებით ნაკლები აქვს. ნახევარ განაკვეთზე რომ ვართ, კიდევ არ არის ცუდი თანხა. მთლიანი განაკვეთი რომ იყოს, რა თქმა უნდა, თანხა მეტი იქნებოდა და ცუდი არ იქნებოდა. თანამშრომლებს ძალიან კარგი და ჩამოყალიბებული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან.

-სკოლას ბოლოს როდის ჩაუტარდა რემონტი?

მე რომ მოვედი, შენობა უკვე ასეთ მდგომარეობაში დამხვდა. რემონტი რასაც ჰქვია, თუნდაც შიდა კოსმეტიკური, პირველად როცა გაკეთდა, მაშინდელია. ინტერიერს რემონტი მის მერე არ ჩატარებია. მაგრამ რაც შეეხება ჭერს, ჭერი 4 წლის წინ გაკეთდა. შედარებით ახალი გამოცვლილია. ახალი, კარგი გადახურვაა. არ გვიტოვებდნენ, მაგრამ ჭერის გამოცვლის დროს ბუხრებიც დავიტოვეთ, ჩვენ შეშის ღუმელები გვაქვს და შემდეგ პრობლემა რომ არ ყოფილიყო. შემოსასვლელი კარიც ახალი გაკეთებულია, მინები უნდა ჩასმულიყო, მაგრამ არ ჩაისვა. მაგრამ მაგას აღარ ვჩივვართ. მთლიანად შენობის რეაბილიტაცია საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. პატარა სკოლის მხრიდან ასეთ საკითხზე რთულია ლაპარაკი. ჩვენი კოლექტივი ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლას მოუფრთხილდეს. ვცდილობთ, ყველაფერი მოწესრიგებული გვქონდეს და ერთიანად, შეთანხმებულად ვიმუშავოთ.

-რა მდგომარეობაშია ინტრუმენტები? რამდენად გამართულია ისინი?

ინსტრუმენტები საკმაოდ ძველი გვაქვს. ფაქტობრივად, მაშინ პირველად რაც შეიძინეს სკოლის გახსნის დროს, ისევ ის ინსტრუმენტებია შემორჩენილი. მიუხედავად სიძველისა, ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევავლოთ ხოლმე. რამდენჯერმე შერემონტდა და აეწყო. ახლა ამ წელში გვაქვს კიდევ ჩასმული რამდენიმე შემოწმება. ჩვენ, ძირითადად, სამ კლასს ვამუშავებთ, რადგან სამი მასწავლებელი ვართ. ისე გვაქვს ცხრილები, რომ სოლფეჯიოა თუ მუს. ლიტერატურა ამ სამ კლასში გვაქვს განაწილებული. ეს სამი ინსტრუმენტი უკვე ჩასმულია და როგორც კი გათბება, ისეც შემოწმდება და პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში აეწყობა. მართალია, ზოგიერთი დღეს მართლაც გაფუჭებულია, მაგრამ ორიენტირება მაინც ამ სამ ოთახში არსებულ ინსტრუმენტებზეა. თანხაც არ არის იმდენი, რომ ყველა ინსტრუმენტი გაარემონტო, ააწყო და შემდეგ ისევ დაკეტო. საკონცერტო დარბაზში გვაქვს ორი როიალი და ორივე ძალიან კარგ მდგომარეობაშია, როგორც ვიზუალურად ასევე ჟღერადობითაც. ანწყობა და ხელის შევლება ყველაფერს სჭირდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც კარგად ვიყენებთ. ისეთ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის, რომ ჩავარდნილი ჰქონდეს კლავიში, ბავშვმა თვითონ წაიმღეროს, ხელით უწევდეს კლავიშის ამონევა და ა.შ. რა თქმა უნდა, ხელის შევლება მაინც საჭიროა.

-დარბაზის ინსტრუმენტებზე ვსაუბრობდით. თვითონ საკონცერტო დარბაზი რა მდგომარეობაშია?

დარბაზში ნამდვილად საჭიროა რემონტი. იმიტომ, რომ მაინც საკონცერტო სივრცეა, დარბაზია, საერთო სახე და სივრცეა. ოთახში შეიძლება შემოხვიდე და ვერ შეამჩნიო პრობლემები, მაგრამ დარბაზში და ღია სივრცეში უფრო გამოსაჩენია. როცა სტუმარი შემოდის, ან კონცერტი გვაქვს, ან ხანდახან სოფლის კრება ტარდება, ხალხი პირდაპირ აქ იყრის თავს. ძირითადად, დერეფანი და

დარბაზი - ეს ერთიანი სისტემაა ფაქტობრივად და უნდა ითქვას, რომ ნამდვილად მოსაწესრიგებელია. გამოცდებსაც მაისის თვეში ამ დარბაზში ვატარებთ. ზამთარში შეუძლებელია, სიცივეა და მოსწავლე რომ კომფორტულად იყოს, კლასებში ვატარებთ ხოლმე გამოცდებს. გვაქვს ღია კონცერტებიც, სხვადასხვა სახის ზეიმები, რომლებიც დარბაზში ჩატარებას ითხოვს და ამიტომ დარბაზს ყურადღება სჭირდება.



-როგორია გათბობის მდგომარეობა? რით ათბობთ ოთახებს?

გათბობას რაც შეეხება, ჩვენ შეშის ღუმელებით ვთბებით. მაინც ეკონომიურად ვიყენებთ, მიუხედავად, რომ საჭირო რაოდენობა ყოველთვის გვაქვს და ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. შეზღუდვა, რომ გათბობა არ არის და გაკვეთილები ცდება, ასეთი რამ არ არსებობს. ისე ვანაწილებთ და ვინაწილებთ, რომ, შეძლებისდაგარად, ყველაფერი მწყობრში გვქონდეს.

– იკლებს თუ არა წლიდან წლამდე ბავშვების რაოდენობა? რამდენად დიდია ცვლილება ყოველ წელს მიღებული ბავშვების რაოდენობებს შორის?

ბავშვები აღარ არიან სოფელში. ვინც არის, ნაწილი დადის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უფრო მშობლების პრობლემაა. ბავშვების მიღებაც უკვე იმ საკითხზე დგას, რომ გარკვეულ ჩარჩოებში ვართ. ჩარჩოებში იგულისხმება ის რომ მაგალითად, დღეს თუ 12 მოსწავლე მყავს, შემდეგისთვის შეიძლება 4 მსურველი მოსწავლიდან 2 მივიღო. მეტი ვერა. ეს იმიტომ რომ ჩვენ ბიუჯეტზე ვართ და გათვლილი ბიუჯეტი აქცევს სწორედ ჩარჩოში მისაღები ბავშვების რაონდეობას. უკვე ორი წელია, რაც ასეთი ფორმაა შემოღებული. ჯერ ასეთი შემთხვევა არ გვქონია, მაგრამ მაინც გაფრთხილებულები ვართ, რომ გარკვეული რაოდენობის მოსწავლე უნდა მყავდეს კონკრეტულ წელს. არსებობს ე.წ განტვირთვაც, როდესაც ბავშვები გადიან, განთავისუფლებული ადგილის შემთხვევაში თანხა რჩება და შემდეგ უკვე შეგიძლია დაიმატო და ასე. თუმცა, მსურველიც მაინც და მაინც არ არის. გადასახადი 15 ლარია, რომელიც ვფიქრობ, არ არის ისეთი დიდი თანხა, მონადინების შემთხვევაში რომ ვერ გადაიხადოს მშობელმა. მაგრამ დაინტერესება მშობლებსაც არ აქვთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ. ადრეც ვცდილობდით და ახლა უფრო მეტს ვცდილობთ. ჩვენც ხომ ვიზრდებით. ყოველწლიურად ადამიანს რამდენი წელიც ემატება, იმდენი ცოდნაც ემატება, ვითარდება. სწავლა სიბერემდეო. ჩვენც ვსწავლობთ და ბავშვებსაც ვასწავლით.

-რა არის ის მთავარი პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს სკოლა დგას?

ჩვენ, ჯერ-ჯერობით, უფრო მეტად გათბობა გვჭირდება. შემაც უკვე ნელ-ნელა პრობლემა გახდება ყიდვის თვალსაზრისით. სკოლა ყიდულობს გადარიცხვით. პრობლემაა ხოლმე ფულის გადარიცხვა, ზოგ გამყიდველს ანგარიში არ აქვს. ამიტომ ხშირად ვწვალობთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გაზის შემოყვანა მოხერხდება. ამაზე მიდის უკვე საუბრები.სკოლამ გააკეთა ამასთან დაკავშირებით პროექტი, რომლის თანადამფინანსებელი მუნიცილაპიტეტი იქნება. მუნიციპალიტეტი თანახმაა დაფინანსებაზე, მთავარია, საწყისი პროექტი მოვიგოთ. სურვილი გვაქვს, რომ გამათბობლები დავაყენოთ მუშა ოთახებში. ცენტრალური გათბობა რთულია. თანხაც ბევრი სჭირდება. გარდა ამისა, ხშირად ვერ მუშაობს. ის დენზეა დამოკიდებული, დენი როგორც გამოირთვება, სისტემაც ითიშება და ისევ ახლიდან უწევს შემდეგ მთლიან სისტემას ჩართვა. ეს პროექტი თუ არ იქნება, ნელ-ნელა, ეტაპობრივად შეიძლება გაკეთება. არ არის მაინც და მაინც დიდ თანხებთან დაკავშირებული. თუმცა ამ ეტაპზე, მაინც მთავარი გაზის შემოყვანაა. ვფიქრობთ, რომ ნელ-ნელა ესეც გაკეთდება, რადგან მხოლოდ ჩვენ არ ვართ. ქედების ზონაა, მაჩხაანის სკოლაა. ყველას თავისი პრობლემები აქვს.

-რა სურვილი გექნებათ თქვენი სკოლის, ბავშვების, მშობლების მიმართ?

უპირველეს ყოვლისა, მშობლების მიმართ მექნება ის სურვილი, რომ ყველა იყოს დაინტერესებული შვილების განვითარებით. ამბობენ ხოლმე, სოფელში მხოლოდ ერთი რაღაცაა. ყველაზე მეტად ეგ მწყინს. იმის მიხედვით არ უნდა შეიყვანო ბავში სადმე, რომ მხოლოდ ის ერთი რაღაცაა. მშობელმა თავის შვილს მრავალმხრივი განათლება უნდა მისცეს. მან უნდა იცოდეს, რა არის შვილისთვის კარგი. მოსინჯე, იქნებ მიდრეკილება აქვს, თვითონ ბავშვსაც სურვილი გაუჩნდება. თუ არა და, შემდეგ გადაწყვიტოს მშობელმა, ატაროს თუ არა შვილი. ბავშვები აქ ვინც მოდიან, წასვლით არავინ აღარ მიდის. ჩვენი მხრიდან შეზღუდვა არ აქვს არავის. ყველანაირად ვაინტერესებთ. ახლაც გუნდში ისეთი სიმღერები მაქვს შეტანილი, კამათი მოსდით ხოლმე რომელი უნდა ვიმღეროთ. კარგი ბავშვები არიან და შემდეგ უფრო გამორჩეულები ხდებიან სკოლაშიც. სხვანაირად ჩანან.

ხელოვნება და უფრო კონკრეტულად კი მუსიკა, ერთ-ერთი ის სფეროა, სადაც ადამიანი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. ამაში კი მას სასწავლო გარემო აუცილებლად უნდა უწყობდეს ხელს. თანაც სწავლების ადრეულ ეტაპზე. სკოლიდან გამოვდივარ იმ იმედით, რომ სკოლის, მომუშავე მასწავლებლებისა თუ ბავშვების ყველა სურვილი თუ საჭიროება, ადრე თუ გვიან დაკმაყოფილებული და შესრულებული იქნება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ორი ავარია ორი მსხვერპლით

16 მარტს დედოფლისწყაროში მომხდარ ტრაგედიას ორი ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. კიდევ ერთი მგზავრის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო. გარდაცვლილები არიან სოფელ ზემო ქედში მცხოვრები 23 და 27 წლის მამაკაცები. ორი ავარია რამდენიმე წუთის ინტერვალით მოხდა. თავდაპირველად, სოფელ არხილოსკალოში ავტოავარიის შედეგად ორი მგზავრი დაშავდა. ოპელის მარკის ავტომობილი კედელს შეეჯახა და ამობრუნდა.

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იყო მძღოლი გიორგი ჩიტიშვილი. დაშავებული მძღოლის დახმარება სცადა მისმა მეგობარმა, რომელიც შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს არ დაელოდა და მისი საავადმყოფოში გადაყვანა დამოუკიდებლად სხვა ავტომანქანით სცადა. თუმცა, მერსედესის მარკის ავტომობილით, რომელსაც ასევე გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა, სოფელ ზემო ქედში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ტროტუარზე მდგარ განათების ბოძს და ხეს შეეჯახა. ორივე მათგანი – გიორგი ჩიტიშვილი და ალეკო შერმადინი, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

პირველი ავარიისას დაშავებული 26 წლის ვალერი ყაბანაშვილი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსა.

გარდაცვლილების ახლობლებს უჭირთ იმაზე საუბარი, რომელიმე მათგანი იყო თუ არა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ.

სოფელში უკვე იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, რომელთაც გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრეს.

23 წლის გარდაცვლილ ალეკო შერმადინს ქალაქ რუსთავში მეუღლე და 4 წლის შვილი დარჩა. ჩიტიშვილი კი პერიოდულად საზღვარგარეთ სამუშაოდ დადიოდა და ბოლო ხანს ემიგრაციიდან დაბრუნდა.

„27 წლის მამაკაცს სასიცოცხლო ორგანოები დაზიანებული ჰქონდა და მისი გადარჩენის შანსი დაბალი იყო, თუმცა, ალეკო ვერ ეგუებოდა, რომ უახლოესი მეგობარი უკვდებოდა. ამიტომ იფიქრა, იქნებ სასწრაფო გზაში შემხვდეს და დაგვეხმარება, თუ არა და მე მაინც მივიყვან საავადმყოფოშიო. ალეკო ჩქარობდა და სწორედ ამ დროს, სოფელ ზემო ქედში ის, „მერსედესი“-ს მარკის ავტომობილით ბეტონის ბოძს დაეჯახა რა დროსაც ადგილზევე გარდაიცვალა, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ცოცხალს ვერც მის მეგობარს მიუსწრო,“ – ყვებიან ალეკოს მეგობრები.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შეგახსენებთ, ასეთივე ტრაგედია დატრიალდა ქედში ორი წლის წინაც, მაშინაც ავტოავარიამ ორი ახალგაზრდა შეიწირა.

ქართული გაზეთი 200 წლისაა

იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯელ. აქედამაც იქნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიან

ქართული გაზეთი 200 წლისაა - ფრთით შექმნილი პუბლიკაციებიდან მობილური ტელეფონით შექმნილ ახალ ამბებამდე განვლილმა გზამ ზუსტად ორი საუკუნე აითვალა. ორი საუკუნის წინ, ქართულმა გაზეთმა მნიშვნელოვან პროცესებში დაიწყო დაარსება და არანაკლები მოვლენების მომსწრე და ინიციატორი გახდა. ამ სტატიაში გავიხსენებთ რა პირობებში მოუწია ქართულ გაზეთს დაარსება, როგორი იყო მისი არსებობის გზა და რა პრობლემებისა თუ გამოწვევების წინაშე იდგა ქართული ჟურნალისტიკისა და კავკასიური პრესის ფუძემდებელი გაზეთი.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაზე მსჯელობისას ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ პირდაპირ 1800 წლიდან შეგვიძლია დავიწყოთ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოთხრობა, რადგან ჩვენი ერის ცხოვრებაში ეს წელი უღელტეხილია. იმის იქით დარჩა სხვა საქართველო, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად, აქეთ კი ახალი ქვეყანა გადაიშალა, რომელსაც პოეტები საქართველოს უწოდებდნენ, ოფიციალური პოლიტიკოსები კი -რუსეთის ორ გუბერნიას“. ყველაფერი, რაც კი XIX საუკუნის საქართველოში ხდებოდა თავისი ბუნებით, ხასიათითა და მიზანდასახულობით სწორედ ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ ნახსენები „ორი საქართველოს“ არსებობით იყო განსაზღვრული. ამ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ანტაგონიზმია ქართველთა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის. ამგვარ პირობებში ერს, როგორც კონკრეტული კულტურული სახისა და ინდივიდუალობის მქონე სოციალურ პიროვნებას, ჩვეულებრივ სამი გზა აქვს დარჩენილი:

1. დანებდეს დამანგრეველ პროცესებს, შეერწყას მპყრობელ ერს და გაქრეს საკაცობრიო ცხოვრების ასპარეზიდან როგორც საკუთარი ისტორიისა და კულტურის შემოქმედი ინდივიდუუმი.

2. შეიარაღებული აჯანყების გზით სცადოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სუვერენულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა.

3. შეეგუოს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, როგორც გარდაუვალ მოცემულობას და მის ფარგლებშივე შეიმუშავოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ფართო და საფუძვლიანად ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლის განხორციელებაც მოუპოვებს ეთნიკური, ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული თვითმყოფადობისა და თვითარსებობის შენარჩუნება-განვითარების საშუალებას.

საქართველოში ოფიციალურ პოლიტიკურ-მმართველობით კურსს და იდეოლოგიას უნდა წარმოეშვა საწინააღმდეგო კულტურულ-იდეოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა და საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა. ამ, არსებითად სასიცოცხლო მნიშვნელობის ორთაბძოლაში განმსაზღვრელი როლი ქართულმა ჟურნალისტიკამ იტვირთა. სწორედ ქართულმა პრესამ შეძლო დასავლური სამყაროსგან მრავალსაუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი, კულტურულად დაქვეითებული, პარტიკულარიზმის უდიდესი სენით დაავადებული და ამდენად დაქსაქსული და დაწრეტილი ეროვნული ნებისა და თვითშეგნების აღორძინება, გამთლიანება და გაძლიერება. პირველ ცნობას, იმის, შესახებ, რომ საქართველოში გაზეთის გამოცემაზე უფიქრიათ, ვხვდებით იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შემუშავებულ და გიორგი მეთორმეტისათვის წარდგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტში. იოანე ბატონიშვილი მსჯელობს ხაზინის შევსებისათვის საჭირო ღონისძიებებზე და სხვა ღონისძიებათა შორის გაზეთის დაარსებასაც ასახელებს. მაშინდელ საქართველოში გაზეთისთვის ასეთი ფუნქციის დაკისრება იმაზე მეტყველებს, რომ თვით თავის დროის კვალობაზე დიდად განათლებულ იოანე ბატონიშვილსაც კი გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონია პრესისა და მისი არსებობისთვის აუცილებელ გარემოზე - მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თითებზე თუ ჩამოითვლება ქართული პერიოდული გამოცემა, რომელსაც საკუთარი შემოსავლით თავის შენახვა შეეძლო, ხოლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის უკლებლივ ყველა გაზეთი თუ ჟურნალი საზოგადოების გულგრილობამ, ხელის მომწერთა სიმცირემ და აქედან გამომდინარე უსახსრობამ იმსხვერპლა. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა სერიოზული ინტერესი და სათანადო პირობები ეროვნული პრესის დასაფუძნებლად. ამდენად, სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი ჩანს ის გარემოება, რომ პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს არა ქართული საზოგადოების, არამედ რუსული ხელისუფლების ინიციატივით, ძალისხმევითა და მისივე საჭიროებებისთვის დაარსდა. იდეა პირველი ქართული გაზეთის დაარსებისა 1818 წელს დაიბადა, 1819 წლის იანვარში კი ამ საქმის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა დაბეჭდეს და გაავრცელეს განცხადება („გამოცხადება“) ყოველკვირეული ქართული გაზეთის გამოცემის შესახებ. „გამოცხადებაში“, რომელიც არსებითად საპროგრამო ხასიათისაა, ჩამოყალიბებული იყო გამოცემის მიზანდასახულობა, პირველი ნორმის გამოსვლის თარიღი, გაზეთის ენა, გამოცემის ადგილი, სახელწოდება, თემატურ-შინაარსობრივი აგებულება, გამოცემის ხანგრძლივობა, ფასი,ხელის მოწერის პირობები, ხელმომწერთა საჭირო რაოდენობა, ხელმოწერის გაფორმების დრო და გაზეთის ბეჭდვის ადგილი. საბოლოოდ, 1819 წლის 8 მარტს (ახალი სტილით 21 მარტს) გამოვიდა პირველი ქართული პერიოდული გამოცემა „საქართველოს გაზეთი“. იგი თაბახის ფურცლის ზომის იყო (35x21) და შეიცავდა 4 გვერდს. 1820 წელს გაზეთს სახელი შეეცვალა და „ქართული გაზეთი“ დაერქვა.

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობა გულგრილად შეხვდა გაზეთის დაარსების საქმეს, რადგან ძნელია კეთილი ზრახვები დაინახო დამპყრობლის წამოწყებებში. არავის სჯეროდა,რომ რუსეთს რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლებოდა საქართველოსთვის. ქართველებმა ვერ შეითვისეს და შეიყვარეს გაზეთი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ხელმომწერების პოვნა საკმაოდ გაჭირდა. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვერ მოიძებნა ხელმომწერთა საჭირო (500 კაცი) რაოდენობა, რომ გაზეთს საკუთარი შემოსავალი ჰქონოდა. პირველი ქართული გაზეთი ინფორმაციული ხასიათის ოფიციოზი იყო. მისი ენა მძიმე და არქაიზებული, სავსე იყო რუსიციზმებით, კალკებით, ჭარბად იყო ქართულისთვის არბუნებრივი სიტყვათწარმოება და სინტაქსური კონსტრუქციები. 1821 წელს პირველი ქართული გაზეთი დაიხურა. მომავალი წლისთვის ველარ მოხერხდა ხელმომწერთა მოპოვება. 1822 წლის მარტისთვის თბილისში მხოლოდ 19 ხელმოწერა შეგროვდა. ხელისუფლება დარწმუნდა რა ამ საქმის უპერსპექტივობაში, შეწყვიტა გაზეთის განახლებაზე ფიქრი. იმის თქმაც აუცილებელია, რომ პირველი ქართული გაზეთი მოსაწყენი იყო. ვინ სად დააჯილოდვეს, რომელი ჩინოვნიკი დაწინაურდა, ვინ სად იყიდა მიწები და ყმები, როდის გაიმართა იმპერატორის ზამთრის სასახლეში მიღება. ეს ამბები ქართველებს არ ახალისებდა. პირიქით, რუსეთის იმპერიის სასტიკი ბრძოლები ჩრდილოკავკასიაში და ამ ბრძოლებში მონაწილე ადამიანების დაჯილოდვების ფაქტები უმეტესობას რისხვითაც კი განაწყობდა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის ნაღველს ამწვავებდა. ამ გადმოსახედიდან მკითხველის განწყობა გასაგებიც კი ხდება. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუკი პირველი ქართული გაზეთი ოფიციოზი იყო, რატომ დატოვა ხელისუფლებამ ის ხელმომწერთა ბედზე და არ დააფინანსა ის ხაზინის ხარჯზე? ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს, მაგრამ გარემოს და დროის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ამ ნაბიჯით ნიადაგის მოსინჯვა უნდოდა - მზად იყო თუ არა საზოგადოებრივი აზრი ამ ახალი საქმისთვის. შედეგებმა აჩვენა, რომ გაზეთს მკითხველი არ ჰყავდა და მასზე ფულისა და ენერგიის ხარჯვაც არ იქნებოდა გამართლებული. იმ კითხვას კი, თუ რამდენად კარგი იყო პირველი ქართული გაზეთის დაარსება, პასუხი შეიძლება შემდეგნაირად გაეცეს - ეს იყო ცუდ გარემობებში და ცუდ დროს განხორციელებული კარგი საქმე. ცუდი იყო ის, რომ გაზეთის დაარსების იდეა არ ეფუძნებოდა ეროვნულ მოტივებს. რუსეთის იმპერიამ ის საკუთარი პრაგმატული მიზნებისთვის გამოიყენა, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთიან რუსულ სივრცეში ასიმილაციისთვის და ინტეგრაციის მიზნით. ცუდი იყო ისიც, რომ ამ საქმის წამომწყებთ სძულდათ ქართული ენა და თუ ერთი ხელით ქართულენოვან გაზეთს აარსებდნენ, მეორე ხელით ქართულ წერა-კითხვას, საქმის წარმოებას და წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებას კრძალავდნენ. თუმცა, ამ მოვლენას კარგიც ჰქონდა. ქართულმა საზოგადოებამ მაინც თავის ენაზე იხილა ცივილიზაციის ისეთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რასაც გაზეთი ჰქვია. უხალისოდ, მაგრამ მაინც გადაავლეს თვალი მსოფლიოსა და მათ ირგვლივ მომხდარ ამბებს. რთულ პირობებში, მაგრამ მაინც დაიწყეს გაზეთის კითხვის კულტურის ჩამოყალიბება. არსებითად მან საფუძველი ქართულ ჟურნალისტიკას ჩაუყარა. არამარტო ქართულს. მან საფუძველი კავკასიურ პრესასაც ჩაუყარა, რადგან მანამდე კავკასიაში არცერთი ჟურნალი თუ გაზეთი არ გამოშვებულა.

1819 წელს არავის ეგონა, რომ მომავალში პრესას მხოლოდ ხაზინის შემავსებლის ფუნქცია არ იქნებოდა. არავის ეგონა, რომ ის დიდი ეროვნული და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების ფუძემდებელი და ხელშემწყობი ექნებოდა. არავის ეგონა, რომ ის განათლების, წინსვლისა და მშობლიურ, დასავლურ, წიაღში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემდა ქართველ ერს. არავის ეგონა, რომ 2 მანეთიანი და 4 გვერდიანი გამოცემა, მცირე ხელმომწერებით (რაც დღესაც პრობლემაა პრესისთვის), ქვეყანაში საგაზეთო ენას დაამკვიდრებდა, მწირს და ნაკლოვანს, მაგრამ მაინც საგაზეთო ენას. ამით კი ქართულ სალიტერატურო ენას განვითარების ახალ გზას და პერსპექტივებს შესძენდა. და ბოლოს, არც იმას იფიქრებდა ვინმე, რომ მისი უდავო ღირსება და დამსახურება ევროპული ორიენტაცია და პიროვნებისა თუ საზოგადოების განვითარებაში განათლების პრიორიტეტული მნიშვნელობის აღიარება იქნებოდა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ეს ჩვენი ისტორიის ნაწილია

გაზაფხულსა და მარტის ქალთა დღესასწაულებს დაუკავშირეს ღონისძიება ამ დღეებში სოფელ სამრეკლოს ბიბლიოთეკარებმა მაყვალა მელაძემ და მარინა ყოჩიაშვილმა. ამ დღისთვის მათ პროგრამა ახალგაზრდა დედათა კლუბთან ერთად მოამზადეს და სტუმრებიც შეარჩიეს – **ქალბატონი ნუნუ ლეკაშვილი და მისი ქალიშვილი ეთერ ღვინიაშვილი.** თუ რა ნიშნით გამოარჩიეს დედა–შვილი, ამაზე ქვემოთ გესაუბრებით.

– ეთერ ღვინიაშვილი ჩვენს სოფელში დაბადებული და გაზრდილი წარმატებული ქალბატონია, რომელიც თავის დროზე, ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი იყო. სწორედ აქ ჩამოყალიბებულმა წიგნის სიყვარულმა განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა – ის დღეს ილიას უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების მკვლევარია და დოქტორის ხარისხს ფლობს. აქამდე მისასვლელი გზა კი სწავლასა, შრომასა და ძიებაში თანდათან გაილია. ის 1975 წელს ჯაფარიძეში, ნუნუ ლეკაშვილის და გივი ღვინიაშვილის ოჯახში დაიბადა. ოჯახი სავსე იყო სიყვარულით, მომავალზე ოცნებით და იმედებით, მაგრამ ბედისწერამ უდროოდ უყელა გივი ღვინიაშვილს და ის ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. დარჩა ორი მცირეწლოვანი, უსუსური ბავშვის ამარა ქალბატონი ნუნუ. „ქალი სუსტია, მაგრამ დედაა ძლერი“- ვიქტორ ჰიუგოს ეს სიტყვები მართლაც რომ, ნუნუზეა ნათქვამი. მან თავს იდო ქალის და მამაკაცის ტვირთი და ღირსეულად გაუძღვა ოჯახს. ორი შესანიშნავი და წარმატებული შვილი გაუზარდა ქვეყანას და დღეს სამართლიანად ამაყობს მათით. დღეს ჩვენ ორივე ქალბატონი – ნუნუც და ეთერიც მოვიხვიეთ მარტის ღონისძიებაზე, რადგან ორივეს წვლილია იმ წარმატებაში, რომელზეც ვისაუბრებთ. დღეს ეთერ ღვინიაშვილის სამეცნიერო წიგნის პრეზენტაცია გვაქვს. წიგნის თემატიკა ძალიან განსხვავებული და ორიგინალურია: „თბილისის ძველი მუსლიმური სასაფლაოს არაბულენოვანი ეპიტაფიები“,– თქვა თავის შესავალ სიტყვაში მაყვალა მელაძემ და დამსწრეთ წიგნის მოკლე შინაარსი გააცნო.

წიგნს ორი ავტორი ჰყავს — დოქტორი ეთერ ღვინიაშვილი და პროფესორი გიორგი შაყულაშვილი. ის ოთხი თავისგან შედგება. 1,2, და 3 თავები ეთერს ეკუთვნის, მეოთხე კი – ბატონ გიორგის. წიგნი ორენოვანია – ქართულ-ინგლისური.

„წიგნი აჯანსაღებს ადამიანის სულს, გონებას, გრძნობას და განწყობილებას“.

ეპიგრაფიის მნიშვნელობაზე საუბრობს წიგნის შესავალში ამ დარგის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი და ფუძემდებელი პროფესორი ციცანა კახიანი:—„ეპიგრაფიკა შეისწავლის მყარ მასალაზე: ქვაზე,ლითონზე, მინაზე, ძვალზე, კერამიკაზე შესრულებულ ძველ წარწერებს, რომელიც საინტერესო ცნობებს იძლევა სხვადასხვა დარგისთვის-ფილოლოგიისთვის, ისტორიისთვის, რელიგიის ისტორიისთვის, ეთნოგრაფიისთვის, ონომასტიკისთვის. ეპიგრაფიულ ძეგლებში, როგორც წარსულის რეალურ ნაშთში, ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის ადრინდელი კულტურულ-ისტორიული ვითარება ყოველგვარი შესწორების გარეშე. ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა შესაძლებელი გახადეს ზოგიერთი მკვდარი ენის აღდგენა. მათი შესწავლა ისტორიკოსებმა ანტიკურ ხანაში დაიწყეს. მეცნიერებად კი ეპიგრაფიკა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ეპიგრაფიული ძეგლების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გამოკვლევისათვის. ისინი, ზოგჯერ, ერთადერთ წერილობით წყაროს წარმოადგენენ. მათ ფაქტების ფიქსაციის დიდი სიზუსტე ახასიათებთ და მთელი რიგი საინტერესო ისტორიული ცნობების დადგენის შესაძლებლობას გვაძლევენ. ისინი წარმოადგენენ წარსულის პირველად წერილობით უტყუარ წყაროს, რომელთაც გადამწერთა ჩასწორებები არ შეხებიათ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა არაბულენოვანი ეპიგრაფიული ძეგლები“.

ეს ვრცელი ამონარიდი იმიტომ შემოგთავაზე, ძვირფასო მკითხველო, რომ მინდა,სრულად გაისიგრძეგანოთ ამ კვლევის ის მნიშვნელობა, რომელიც დიდი შრომის შედეგად ჩადეს წინამდებარე წიგნში ავტორებმა. წიგნის პირველ თავში საუბარია არაბული დამწერლობის ისტორიისა და ეპიგრაფიკის ზოგად საკითხებზე და მუსლიმური საფლავის ქვებზე, მეორე თავი საქართველოს არაბულენოვან წარწერებს ეთმობა, მესამე თავში თბილისის ძველი მუსლიმური სასაფალაოს არაბულენოვანი ეპიტაფიებია გაშიფრული, ხოლო მეოთხე თავი ქართულ- აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მოიცავს.

თბილისის ძველი მუსლიმური სასაფლაო- პანთეონი, ამჟამად ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზეა. სწორედ აქ არსებული

(გაგრძელება გვ. 7)

„არავინ დატოვო მიღმა“...

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე განსაკუთრებულად აღინიშნა დედოფლისწყაროში. ღონისძიება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით და ადგილობრივი ბავშვთა სტუდიების მონაწილეობით ჩატარდა. პარალელურად, ამავე დღეს კულტურის სახლის ჰოლში შშმ ბავშვების ნახატების და ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ბავშვებს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე მიულოცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა, მისი ინიციატივით, კონცერტი იმ სცენაზე ჩატარდა, რომელ სცენასაც არაერთი ვარსკვლავისთვის უმასპინძლია და მოწვეულ ბავშვებს საშუალება მიეცათ, თავი ვარსკვლავებად ეგრძნოთ. მუნიციპალიტეტის თუ ქვეყნის მასშტაბით დაუნის სინდრომის სტატუსის მქონე ადამიანებს ეს დღე მიულოცა და მხარდაჭერა აღუთქვა მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმაც.

„გასული წლებისგან განსხვავებით, ამჯერად გადავწყვიტეთ, ღონისძიება სცენაზე გამართულიყო. იმის დასტურად, რომ ეს ბავშვები არაფრით განსხვავდებიან მათი თანატოლებისგან. ასევე გვინდოდა მათთვის მიგვეცა შესაძლებლობა, რომ იმ სცენაზე გამოსულიყვნენ, სადაც არაერთი ვარსკვლავი მდგარა და ეს დღე დაუვიწყარი გამხდარიყო მათთვის. ვფიქრობ, დასახულ მიზანს მშვენივრად მივაღწიეთ, რადგან დაგეგმილი ნომრების გარდა ექსპრომტად დამატებული ცეკვა-სიმღერებიც შესრულდა, რა დროსაც ამ ბავშვებმა მართლაც ძალიან მოილხინეს. მათმა ბედნიერმა სახეებმა დარბაზში ბევრი აატირა,“ — აღნიშნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა **ილია მარტყოფლიშვილმა.**

მუსიკალური ნომრების შემდეგ ილია მარტყოფლიშვილმა ღონისძიების მონაწილე დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

„21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა. 1866 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ჯორჯ დაუნმა პირველმა აღწერა ეს სინდრომი, ხოლო 2011 წელს გაეროს ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია და 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. 2012 წლიდან მისი აღნიშვნა მსოფლიოს მასშტაბით ხდება, მისი მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებაში ჩართულობაა“— ამ სიტყვებით დაიწყო ღონისძიება ცარო მარტიაშვილმა 21 მარტს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში სლოგანით - „არავინ დატოვო მიღმა“. ამ სცენაზე იგი ,ჩვეული პროფესიონალიზმით, უთვალავი ღონისძიების ავტორი და წამყვანია. თუმცა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის ღონისძიებები, რომელზეც ქალბატონი ცარო სხვა ემოციით და სილაღით გვხვდება სცენაზე. ასე იყო 21 მარტსაც, როდესაც სცენას მთლიანად პოზიტივი მართავდა. დაუნის სინდრომის მატარებელი გოგონებისთვის შეუძლებელია ოდესმე მეხსიერების მიღმა დარჩეს ის დადებითი მუხტი, რომელიც როგორც სცენიდან, ისე დარბაზის მაყურებლისგან მიიღეს.

ამ დღეს თავი არ დაუზოგავთ სტუდია „არლეკინოელებს“ (ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი, მხატვარი სოფო კირვალიძე). ბავშვები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სხვადასხვა კომპოზიციებში, თამაშებში, („ყვავილების შეგროვება“, „ალო, ალო“, „მზეების შეგროვება“ სიმღერებსა თუ ცეკვებში. არაჩვეულებრივად გამოუვიდათ პატარებს „პეპი, პეპი“ ლანასთან, ნინისთან და ნინოსთან ერთად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ღონისძიების ექსპრომტები, რამაც საოცარი ელფერი შესძინა ამ დღეს. ქალბატონმა ცარომ სცენიდან მუსიკის დიჯეებს სთხოვა, რომ ნებისმიერი ქართულ საცეკვაო მელოდია ჩაერთოთ, რათა თავისუფალი არჩევანის საშუალება მიეცათ სპეციალურად მოწვეული გოგონებისთვის. მართლაც, შედეგმა არ დააყოვნა და გოგონებმა აქტიურად იცეკვეს. ეს ძალიან ემოციური იყო დარბაზში მსხდომთათვის.

ჩვენ დღითი დღე ემპათიურები ვხდებით, უფრო მეტად, ვიდრე გუშინ ან ხუთი თუ ათი წლის წინ, როდესაც საზოგადოება და ზოგჯერ მშობლებიც კი უარს ამბობდნენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებზე. დიახ, თითოეული ასეთი ღონისძიება ემსახურება იმას, რომ ჩვენ, ვისაც ოდესმე მინიშნებით ან ეპითეტებით გვისაუბრია ადამიანის განსხვავებულ მდგომარეობაზე, შეგვრცხვეს ჩვენი თითოეული სიტყვის თუ მინიშნების, ხოლო ჩვენს შვილებს აზრადაც არ მოუვიდეთ მომავალში ასეთი დამოკიდებულება. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როდესაც კულტურის ცენტრის ორგანიზებით მომზადებული საჩუქრები დაურიგდათ გოგონებს, ერთ-ერთმა „არლეკინოელმა“ პირველკლასელმა - ლიზი ჭოტაშვილმა საკუთარი ინიციატივით შეძენილი საჩუქრები გადასცა მათ და დამსწრე საზოგადოებას სამოქალაქო აქტიურობის უფრო მეტი სტიმული მოგვცა.

ელზა ხარაშვილი

მისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ...



დაუნის სინდრომი გენეტიკური ცვლილებაა, რა დროსაც ნაყოფის უჯრედებში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა ჩნდება. რვაასი ბავშვიდან ერთი სწორედ ამ სინდრომით იბადება. განვითარებულ ქვეყნებში მუდმივად მუშაობენ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა მიმართ სტიგმის დაძლევაზე. შედეგად, ისინი იღებენ განათლებას, საქმდებიან და ქმნიან ოჯახებს. 2010 წლიდან, ყოველ 21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. საქართველო წელს მერვედ უერთდება მსოფლიო ინიციატივას. იყო დრო, როცა საქართველოში საერთოდ არ საუბრობდნენ ამაზე, მშობლები და ბავშვები არ ჩანდნენ. დღეს გადავწყვიტეთ, გიამბოთ დედოფლისწყაროელი ლანა თეთრაძის ისტორია, რომელიც 10 წლისაა.

ციალა თეთრაძე, **ლანას დედა** — ჩვენი ისტორია დაიწყო 2008 წელს, როდესაც დაუნის სინდრომის მქონე ტყუპისცალის დედა გავხდი - არაჩვეულებრივი ლანასი, რომელიც ახლა 10 წლისაა და მეხუთე კლასშია. როდესაც ღუდუშურის საავადმყოფოს პალატაში ექიმი შემოვიდა და ეს ამბავი შემატყობინა, მეგონა, ქვეყანა თავზე დამექცა, მაშინ ჩემი მთავარი პრობლემა იყო ის, რომ არავითარი ინფორმაცია არ მქონდა დაუნის სინდრომის შესახებ და გარემო იყო ძალიან მძიმე. იყო კითხვებიც, რა გადაწყვიტე? ინფორმაცია იყო ნოლი. საბოლოო ჯამში, როდესაც დადგინდა, რომ ნამდვილად 47 ქრომოსომაა ყველა უჯრედში, წამითაც არ დავმდგარვარ არჩევანის წინაშე და დღემდე ასე ვარ, ლანა არის ჩემი მზე, ჩემი სიცოცხლის არსი, მიუხედავად იმისა, რომ ტყუპისცალია და საერთოდაც, ოთხი შვილის დედა ვარ, მის მიმართ სულ სხვა განცდა მაქვს და ეს დანარჩენმა შვილებმაც იციან. ძილშიც მას ვეფერები...ერთ-ერთი რთული ფორმით დაიბადა, თუმცა, დღემდე სტატუსის მოპოვება ვერ შევძელით, მოვიარეთ, სადაც სპეციალური ფსიქო-ნევროლოგიური ცენტრებია, ხან სიღნაღში გაგვაგზავნეს, ხან თელავში, ხან ჩვენს ფსიქიატრიულ კაბინეტში, სადაც შესაბამისი ცნობის გაცემის ლიცენზია არ გვაქვსო, გვითხრეს და დღემდე მისთვის განკუთვნილ პენსიას ვერ ვიღებთ. არადა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს დახმარება ჩვენთვის, ლანას მხედველობის სერიოზული პრობლემები აქვს, ენდოკრინული დარღვევები, წონაში ძალიან მოიმატა, მაგრამ არა გვაქვს საშუალება, შესაბამისი მკურნალობა ჩავუტაროთ, მეუღლე ხელოსანი მყავს, მე ოჯახებში დავდივარ და ვალაგებ, ძალიან გვიჭირს...

თავდაპირველად მქონდა კითხვები, რომლებიც რეალურად ყველა მშობელს აქვს — როგორი იქნება? სკოლაში ივლის თუ ვერა? ბაღში მიიღებენ თუ არა? საერთოდ მიცნობს? გამარჯობას იტყვის? დედას იტყვის? ...მართლაც, ბაღში რომ მივყვანე, ლაპარაკი საერთოდ არ იცოდა, ფეხი 2 წლისამ აიდგა, მაგრამ საზოგადოებაში და ბავშვებში ინტეგრირებამ მოგვცა ის შედეგი, რაც დღეს გვაქვს.ახლა მეხუთე კლასშია, ძალიან უყვარს ხატვა, თოჯინებით თამაში, კომპიუტერი, სპორტის გადაცემები უყვარს, ფეხბურთის ყურება, სილაში თამაში, მეხმარება სახლის დალაგებაში, ბებია უყვარს ოჯახში ჩემს მერე ყველაზე მეტად, თუ ვინმე ბებოს შენიშვნას მისცემს, მისი დაცვის სადარაჯოზეა. სწავლის მიმართ ძალიან პასუხისმგებლიანია, საგნებიდან მათემატიკა მოსწონს და მათემატიკის სოფო მასწავლებელზე გიჟდება. არ შემიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნო ჩვენი სპეც. პედაგოგის ირინა ფიროსმანაშვილის უდიდესი ყურადღება ჩვენს მიმართ. მან ჩაიბარა თითქმის უმეტყველო ბავშვი, რომელიც დღეს გამართულად საუბრობს, ირინა მასწავლებლის წყალობით ლანას დამოუკიდებელი ქცევების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესებულია. ამავდროულად, დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის დირექტორს ლალი იაკობიშვილს ჩემი შვილის ასეთი აქტიური და სწრაფი განვითარება-ინტეგრირების პროცესში, მან სპეციალურ კაბინეტში ყველა პირობა შეუქმნა ბავშვს, რომ თავი კომფორტულად იგრძნოს, ყოველ წელს მართავენ ლანასთვის ღონისძიებას. კლასის ხელმძღვანელი ნათია ტოკლიკიშვილი მუდამ გვერდში გვიდგას და გვეხმარება ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაში, უდიდეს მხარდაჭერას და სითბოს ვგრძნობთ თანაკლასელებისგან. ერთხელ, როდესაც ლანა სკოლიდან სახლში გამოიპარა, მას მთელი სკოლა ეძებდა, კლასელები ტიროდნენ, მას კი სახლში ბებოსთან ეძინა მშვიდად.არასოდეს დამავიწყდება ამ ბავშვების თანაგრძნობით სავსე სახეები, ისევე როგორც, არ მავიწყდება, წლების წინ ჩვენსკენ გაკეთებული მინიშნებები და ზოგჯერ ამრეზილი მზერაც...ეს ყველაფერი

წარსულში დარჩა. მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მერიას, რომელმაც მისი კომპეტენციის ფარგლებში, ორჯერ აღმოგვიჩინა ერთჯერადი დახმარება-500-500 ლარის ოდენობით.

მე, როგორც დედა და მთელი ჩვენი ოჯახი, ყველანაირად ვცდილობთ, ყველაფერი გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია, რომ ჩემმა შვილმა მომავალში ისწავლოს და შეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრება, ჩემი ოცნება ეს არის...როდესაც მის გვერდით არ ვიქნები, მან შეძლოს ჩემს გარეშე ცხოვრება, ამისთვის კი ყველაფერს გავაკეთებ, ამისთვის სასწორზე დავდებ ყველაფერს, ჩემს ჯანმრთელობასაც და სიცოცხლესაც, ოღონდ ლანას ჰქონდეს ხვალინდელი დღე სრულყოფილი და ბედნიერი!...

ელზა ხარაშვილი

„წარმატებისთვის მუდმივად უნდა ვითარდებოდე და სწავლობდე“

„წარმატება = განვითარებას + სწავლა ან „ვცდილობ, უსასურლობის შესახებ ვწერო და უსასრულობაში მიმოვაბნიო ჩემი ნაწარმოებები.“

ჩვენს გაზეთში, პერსონის რუბრიკას, ყოველთვის საინტერესო ადამიანები ჰყავს სტუმრად. განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი ეს ადამიანები ახალგაზრდები არიან. განსხვავებული შეხედულებებით, ფიქრებითა თუ გამორჩეული უნარებით დაჯილდოვებულები. **არბოშიკის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე,** ლევან კაკალაშვილიც, ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება. სულ რამდენიმე თვის წინ, წილად მხვდა შესაძლებლობა, მისი შემოქმედებიდან რამდენიმე მოთხრობას გავცნობოდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ლევანი მისი შეხედულებებით, აზროვნებითა თუ წერის სტილით ნამდვილად გამორჩეულია. ახალგაზრდა, ნიჭიერი და მოტივირებული მწერალი ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა, ინტერვიუზე სადაც, მის უკეთ გასაცნობად ბავშვობის ინტერესებიდან დაწყებული განათლების სისტემაზე შეხედულებით დამთავრებული ყველაფერი იქნება გადმოცემული.

— როგორც ანტუან სენტ ეგზიუპერმა თქვა, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ლევან, მომიყევი შენს შესახებ, როგორი ბავშვი იყავი, რა ინტერესები გქონდა?

— რთულია საკუთარ თავზე ლაპარაკი და, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი როგორი ბავშვი ვიყავი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ჰობი მქონდა. ყოველთვის რაღაც თავშესაქცევს ვპოულობდი. კონკრეტული ინტერესები არ მქონია, მაგრამ რამდენიმეს გამორჩევა მაინც შეიძლება. მაგალითად, ძალიან მაინტერესებდა საბრძოლო ტექნოლოგიები და სტრატეგიები. ყოველთვის ვცდილობდი საბრძოლო იარაღის დამზადებას (ხმლის, ფარის და ასე შემდეგ).

— როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

— ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე შეიძლება ნებისმიერ წამს გადაიქცეს მოულოდნელობად. გააჩნია ხასიათს და დამოკიდებულებას. ყოველთვის ვცდილობ, რომ რაც შეიძლება მეტი დავწერო და შემდეგ ეს ნაწერი დავხვეწო.

— *როგორც ვიცი, ბევრ* კონკურსში გაქვს მონაწილეობა მიღებული.ბევრი ჯილდო, საპატიო სიგელი თუ დიპლომი გაქვს აღებული. რომელია ის წარმატება, რომლითაც ყველაზე მეტად ამაყობ და რატომ?

— სამწუხაროდ, ადამიანის ბუნებაში ჩადებულია, რომ იმით არ უნდა დაკმაყოფილდეს, რაც უკვე შეძლო. აქედან გამომდინარე, რომელიმეს ვერ გამოვარჩევ. მიღებული პრიზები წარსულს ჩაბარდა, წინ კი მომავალია. საამაყოდ სულ სხვა ჯილდოები მესახება. ჯილდოები, რომლებიც ჯერ არ ამილია.

— როდის დაიწყე წერა? რა იყო ის მთავარი ინსპირაცია, რამაც წერისკენ გიბიძგა?

— წერა ექვსი წლის ასაკში დავიწყე და ჩემი მთავარი ინსპირაცია ვამპირული ცხოვრება იყო. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ვიკვლევდი და ვიძიებდი ინფორმაციას ვამპირების და მაქციების შესახებ. მათზე არაერთი მოთხრობა მაქვს დაწერილი და პირველი სწორედ ექვსი წლის ასაკში დავწერე. რაც შეეხება მოტივს და ბიძგს, რომელმაც წერა დამაწყებინა, დღესაც ვეძებ, მაგრამ ვერ ვპოულობ. ყველაფერი თავისთავად მოხდა.

— რატომ აირჩიე პროზა და ფიქრობ თუ არა ამ მიმართულებით მომავალში საკუთარი თავის განვითარებას?

— რა თქმა უნდა. ჩემთვის პროზა განსაკუთრებულია. უშუალოდ პროზა კი იმიტომ ავირჩიე, რომ მინდოდა სათქმელი დეტალურად გადმომეცა. პოეზია ღვთაებრივია. პოეზიაში არ არის ბინძური რეალობის ადგილი, ხოლო პროზაში სწორედ რეალობასთან მიმართებაში განვითარებული მოვლენების აღწერა შემეძლო და შემიძლია. მართალია, მე რეალიზმის ჟანრში არ ვწერ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ფაბულისთვის რეალური გარემო ან პრობლემები გამოვიყენო.

— ალბათ, შენი ყველა მოთხრობა შენთვის ძვირფასი და განსაკუთრებულია. მაგრამ მაინც, რომელია ის გამორჩეული, რომლის გარეშეც გიჭირს საკუთარი თავის წარმოდგენა?

— სამწუხაროდ, ჯერ არ დამიწერია ისეთი მოთხრობა, რომლითაც ვიამაყებდი ან განსაკუთრებულად ჩავთვლიდი, მაგრამ, ალბათ, მაინც გამოვარჩევ რამდენიმეს. მაგალითად, „როგორ შევქმნათ ჰომონკული“, “ეკოს სამსუნგი”, “მოყვითალო ნათება”. რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული ჩამონათვალი, მაგრამ სტილის და ხელწერის განსასაზღვრად ესენიც კმარა.

— რა არის ის, რაც დღევანდელ თანამედროვე პროზაში მოგწონს ან არ მოგწონს?

— თანამედროვე პროზა ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში. ყველაზე მეტად, ალბათ, თხრობის სტილი მომწონს, რაც ავტორებს ერთმანეთისგან გამოარჩევს და, ამავდროულად, უნიკალურსაც ხდის მათ. მართალია, ძალიან მიყვარს კლასიკა, მაგრამ ხშირად კლასიკური ნაწარმოებები ძალიან დეტალური და გაწელილია, ხოლო თანამედროვე ლიტერატურაში მსგავსი რამ არ გვხვდება. თანამედროვე ლიტერატურა ძალიან ახლობელია. ის შეიძლება წყაროდაც ჩაითვალოს. წყაროდ, რომელიც მსოფლიოს შესახებ გვიყვება და თანამედროვე ტენდენციებსა თუ პრობლემებს აშიშვლებს. თანამედროვე ლიტერატურაზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო. ამიტომ, არ შემიძლია, არ გამოვარჩიო რამდენიმე მწერალი, რომელმაც ჩემი მსოფლმხედველობა და აზროვნება თავდაყირა დააყენა. ესენი არიან: მარიო ვარგას ლიოსა, უმბერტო ეკო, ჯულიან ბარნსი, კაზუო იშიგურო, ჰარუკი მურაკამი. მათი ნაწარმოებები არაერთხელ გამხდარა ინსპირაცია ჩემი მოთხრობებისთვის.

— ერთ-ერთი აფრიკული ანდაზის თანახმად, წიგნი ბაღია, რომელსაც ადამიანი ჯიბით ატარებს. შენთვის რა არის წიგნი და რომელ ლიტერატურულ ჟანრს ანიჭებ უპირატესობას?

— ჩემთვის წიგნი თავისუფლება, მიმღეობა, თვითრეალიზაცია, კომედია, დრამა, მეექვსე გრძნობაა. მხოლოდ წიგნებს შეუძლიათ ამაფორიაქონ და ჩამაფიქრონ. როცა მათთან ვურთიერთობ, თავს უსასრულობის ნაწილად ვთვლი. ალბათ, სწორედ წიგნებთან მაქვს ყველაზე იდუმალი და ინტიმური ურთიერთობა. სიტყვები ჩემთვის ყველაფერია. მე პირადად მაგიურ რეალიზმს, დისუტოპიას და ანტიუტოპიას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან მხოლოდ ასეთ ჟანრებში შესრულებულ ნაწარმოებებში შეგვიძლია შევხვდეთ უდიდეს ფილოსოფიურ აზროვნებას. მაკონდოს მსგავსი ადგილები კი ჩვენს სახლებად შეიძლება გადაიქცეს. სახლებად, სადაც სულიერ საზრდოს ვიპოვით.

— ზოგისთვის წიგნი ფიქრის საშუალებაა, ზოგი კი პირიქით, იმისთვის კითხულობს, რომ არ იფიქროს. რისი საშუალებაა შენთვის წიგნი?

— უპირველეს ყოვლისა, წიგნი ჩემთვის საშუალება არ არის. ის სიწმინდეა, რომელიც მაძლევს იმას, რაც კონკრეტულ მომენტში მჭირდება — მოტივაცია, ხალისი, მსოფლმხედველობის თავისებურებები.

— თუკი გექნებოდა ავტობიოგრაფიული წიგნი, რას დაარქმევდი მას და რატომ?

— მას, ალბათ, „წინ, უსასრულობისკენ“ ...დავარქმევდი, რადგან ვცდილობ, რომ სწორედ უსასრულობის შესახებ ვწერო და უსასრულობაში მიმოვაბნიო ჩემი ნაწარმოებები.

— ნათქვამია, მწერალი იგივეა, რაც წინასწარმეტყველი: ის უფრო ნათლად ხედავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. შენთვის ვინ არის ასეთი მწერალი?

— ჩემთვის მწერალი წინასწარმეტყველი ენტონი ბერჯესია, რადგან მან გამოიცნო მომავლის ადამიანების მეტყველების თავისებურება. მისი ნაწერი, რომელიც მეოცე საუკუნეშია შესრულებული, ნათლად ასახავს დღევანდელ ცხოვრებას.

— მწერალს ერთადერთი მასწავლებელი ჰყავს — მკითხველი. რას ურჩევდი მას?

— თანამედროვე ქართველ მკითხველს ვურჩევდი, რომ უფრო მეტი და მეტი იკითხონ, რადგან ბოლოს აღმოაჩენენ, რომ წიგნზე ახლობელი და ერთგული იშვიათი რამაა.

— როგორც ვიცი აბიტურიენტი ხარ. რა სირთულეებთანაა აბიტურიენტობა დაკავშირებული, რომელი პროფესიაა შენი რჩეული და სად ხედავ საკუთარ თავს მომავალში?

— ჩემთვის აბიტურიენტობა არანაირ სირთულესთან არ ასოცირდება. სამწუხაროდ, ჩემს თავს ჯერ ვერსად ვხედავ, მაგრამ იმედი მაქვს, სანამ გამოცდებზე გავალ მოვიფიქრებ რაც მინდა.

— შენი აზრით, რა მთავარი გამოწვევის წინაშე დგას დღეს განათლების სისტემა და რას შეცვლიდი მასში? რამდენად ეთანხმები ან არ ეთანხმები გამოსაშვები გამოცდების გაუქმებას?

— ჩემი აზრით, გამოსაშვები გამოცდები იყო ანაქრონიზმა და დიდი სისულელე. მის ნაცვლად ისეთი რამ უნდა იყოს, რაც ბავშვის სკოლაში მოღვაწეობას თხემით ტერფამდე შეისწავლის და ამის მიხედვით განსაზღვრავს ქულას და არა კონკრეტული გამოცდის მიხედვით. გამოცდები ხშირად სტრესის მიზეზიც ხდება. კიდევ ერთხელ უნდა ვახსენო სიტყვა სამწუხარო, რადგან სამწუხაროდ, ჩვენი განათლების სისტემა მოშლილი და არაკომპლექსურია, რაც ისევ და ისევ მოსწავლეებს აზიანებს. ქვეყანაში, სადაც სკოლებში ასეთი სავალალო მდგომარეობაა, შეუძლებელია სხვა დარგი ყვაოდეს. განათლების სისტემის მთავარი გამოწვევა ბავშვების განწყობაა. ბავშვების უმეტესობას ურჩევნია მთელი ცხოვრება უსაქმურობაში გალიოს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და არ შეესაბამება რეალობას, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად უნდა დაეხმარონ ბავშვებს და შემდეგ კურიკულუმი დახვეწონ. ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელი განათლების სისტემა მთლიანად შესაცვლელი და გასაუმჯობესებელია.

— რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად და რა არის ის მთავარი რჩევა, რომელსაც შენს თანატოლებს მისცემდი?

— როგორც კრისტიანო რონალდუ ამბობს, შრომა და ვარჯიში მთავარია წარმატების მისაღწევად. ჩემი აზრით, ვისაც წარმატების მიღწევა სურს, მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და სწავლობდეს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

პროფესიული განათლება მნიშვნელოვანია

17 მარტს CSRDG-ის და Saga-ს მიმდინარე პროგრამის ფარგლებში არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ჯგუფის მიერ პროგრამით გათვალისწინებული მორიგი ღონისძიება გაიმართა. ამჯერად ადგილობრივმა ორგანიზაციამ შეხვედრა ხმლების ოსტატ ზაზა ალადაშვილის ოჯახში მოაწყო, რომელზეც ჩვენი გაზეთი წინა ნომერში წერდა.

არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორის, მაია ლამაზოშვილის განცხადებით, აღნიშნული შეხვედრა პროფესიული სწავლების და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, პროფესიული განათლების მნიშვნელობის, სიკეთის გააზრებასა და სწავლების მოტივაციის ამაღლებას ისახავდა მიზნად. – „შეხვედრა ჩვენი პროგრამული გეგმის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც მიზნად ახალგაზრდებში პროფესიული სწავლების მნიშვნელობის გაცნობას ისახავს. გადავწყვიტეთ, რომ შეხვედრა ხმლების ოსტატთან მოგვეწყო. დამსწრე ბავშვების ასაკი არ შეგვიზღუდავს, მაგრამ შეხვედრას, ძირითადად, მეშვიდე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ახალგაზრდები დაესწრნენ. ჩვენი მიზანი ბავშვებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციაა. განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებში, რომლებიც მომავალი პროფესიის არჩევის წინაშე დგანან. გვინდა, იმის გააზრებას შევუწყოთ ხელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება უმაღლეს განათლებასთან ერთად, უშუალოდ ხელსაქმეზე, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება, რა სიკეთის მომტანია ის ახალგაზრდებისთვის, მომავალი თაობისთვის. მომავალში სხადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრასაც ვგეგმავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონები ჩვენს სოფელში ხელსაქმით არიან დაკავებულები, რაც საშუალებას იძლევა არამარტო ბიჭებისთვის, გოგოებისთვისაც დაიგეგმოს მსგავსი შეხვედრები. კულტურის სახლში გახსნილია თექაზე მუშაობის კურსი, ბავშვები თექაზე მუშაობენ და სამომავლოდ, დაგეგმილი გვაქვს დაინტერესებულ პირებს ეს ხელსაქმე ახლოს გავაცნოთ. გამოფენა-ფესტივალის გაკეთების სურვილიც გვაქვს, რომელიც შეიძლება ზონალურიც კი იყოს: ქედი, არბოშიკი და ხორნაბუჯი საერთო ღონისძიებებით და პროფესიული სწავლების შედეგების გაცნობით რომ იყვნენ წარმოდგენილნი. პროგრამულ მასალებში ბევრი საინტერესო რამ გვაქვს ჩადებული და აქტიურად ვაპირებთ მათ განხორციელებას“, – თქვა ქალბატონმა მაიამ.

შეხვედრაზე აქტიურად დაისვა კითხვები ხმლების დამზადების, მათი შექმნისა და დამუშავების შესახებ. ახალგაზრდა მჭედელმა, თენგო ალადაშვილმა სტუმრებს დეტალურად აუხსნა და განიხილა ხმლებზე თუ ხანჯლებზე არსებული დეტალების მნიშვნელობა. დაისვა კითხვა ასევე ამ საქმის შესწავლის მსურველების მიღებაზე, რასაც პროფესიონალის მხრიდან დადებითი პასუხი გაეცა. პროფესიონალი მჭედლები მზად არიან საქმის შესწავლის მსურველებს შეასწავლონ ეს მნიშვნელოვანი და ამავდროულად, უძველესი საქმე. შეხვედრა მომავალი ცივი იარაღის მონახულებით დამთავრდა, რომელიც თავის პირველ სტუმრებს სულ მალე მიიღებს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ეს ჩვენი ისტორიის ნაწილია

(მეოთხე გვერდიდან)

ეპიტაფიები გახლავთ ეთერ ღვინიაშვილის კვლევის საგანი. დღეს იქ მხოლოდ 24 საფლავის ქვა და აქა-იქ შემორჩენილი საფლავის ქვების ნამტვრევებია.

წიგნში სქოლიოს სახით წარმოდგენილია ბოტანიკური ბაღის მოკლე ისტორია, რომელიც მრავალსაუკუნოვანია. ლეღვთახევში გაშენებული საქართველოს სამეფო კარის ბაღი წინათ სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდა და „მეფის ბაღად" იწოდებოდა. ზოგიერთ წყაროში კი მას „ციხის ბაღადაც" მოიხსენიებენ. მინდა გითხრათ, რომ წიგნი მარტო ამ ბაღის ისტორიის გაცნობადაც კი ღირს, თურამც იმ საინტერესო ცნობებისა, რომელიც თავად ეპიტაფიებში დევს. ეპიტაფიების ტექსტები ორ ენაზე - არაბულად და ქართულადაა წარმოდგენილი. გთავაზობთ ორიოდე ნიმუშს: „ის, (ალაჰი) მარადიულია, განდიდებულია საქმე მისი. ყოველი სულიერი იგემებს სიკვდილს, მერე ჩვენ დაგვიბრუნდებიან. ეს არის საფლავი განსვენებულისა, შეწყალებულისა, კეთილშობილისა, ცნობილი გვარისა, რომელიც მიისწრაფვის ალაჰის წყალობისკენ, სახელად სეირე ბეგუმ, ასული მირზა ფათალი ბეგ ახუნდ ზადესი, მეუღლე შაჰზადე ხან ალამხან კაჯარისა და გარდაიცვალა თექვსმეტსა, წმინდა მუჰარრამსა, წელსა ოთხმოცდაცხრასა ათას ორასის შემდეგ (ჩვ.წ.1872წ), ოცდაოთხი წლისა. ო, ალლაჰ, მიუტევე მას და დააკავშირე წმინდა იმამებთან". ასევე -

მუსლიმთა პანთეონი თბილისის ბოტანიკურ ბაღში

„ის (ალაჰი) მარადიულია. ეს არის საფლავი განსვენებულისა, შეწყალებულისა, ღვთისმოსავისა, ქერბალას მომლოცველი ტუტი ხანუმისა, ასულისა განსვენებული ჰაჯი ასქარ ახუნდ ზადე ნუხელისა. თარიღი - დღე მისი გარდაცვალებისა ოცდახუთი, შავვალის თვე, ხელი 1291 (ჩვ.წ.1874წ). ო, ალლაჰ, მიუტევე და ჰქმენ სამოთხე მის სამყოფელად. ო, ღმერთო, ფატიმას შვილების შეწევნით, იყოს მოციქული ჩემი თანამდგომი განკითხვის დღეს. არ დაგვაშორო, ღმერთო მოწყალეო, მოციქულებთან, რელიგიურ წინამძღვრებთან (იმამებთან), ო, მოწყალეო".

სულ გამოკვლეულია 19 წარწერა. თითოეული მათგანი შეიცავს მრავალმხრივ ინფორმაციას მიცვალებულის, მისი ოჯახის და წარმომავლობის შესახებ. ყველასთვის კი საერთო ისაა, რომ სწამთ ღმერთის არსებობის, მისი მარადიულობის, საიქიო ცხოვრების და განკითხვის. დათარიღებულია ჰიჯრის წელთაღრიცხვით სწორედ ამიტომ ფრჩხილებში მითითებულია თარიღი ჩვენი ხელთაღრიცხვის მიხედვით.

უაღრესად საინტერესოა წიგნის მეოთხე თავი, სადაც ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობებია მიმოხილული სწორედ ძველ მუსლიმურ სასაფლაოზე დაკრძალული მოღვაწეების მიხედვით. ბევრი დამსახურებული ადამიანის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ, მაგრამ საზოგადოებისთვის ცნობილი და საინტერესო იქნება ცხოვრება და მოღვაწეობა, მირზა შაფი ვაზეჰისა და მირზა ფათალი ახუნდოვისა. პირველმა, თავისი ღრმა აზრით დატვირთული, ლირიზმით გამთბარი ლექსებით მსოფლიო სახელი მოიპოვა, ხოლო მეორემ ჩამაფიქრებელი დრამატურგიით „თათარი მოლიერის" უკვდავი ნოდება დაიმსახურა. ერთიც და მეორეც აქ, საქართველოს მიწაზე, თბილისში ჰქმნიდა თავის ეროვნულსა და ერისთვის სულიერ საკვებს, აქედან ემსახურებოდა ზოგადსაკაცობრიო იდეებს. აქედან შეჰქონდათ კულტურის ისტორიაში თავისი ერისთვის მნიშვნელოვანი წვლილი.

მირზა ფათალი ახუნდოვი დაიბადა 1812 წელს აზერბაიჯანის ქალაქ შექაში. ის იშვილა მისმა ნათესავმა, იმ დროისთვის ერთ-ერთმა სწავლულმა ჰაჯი ალესქერმა, რომელსაც მისი სასულიერო პირად გაზრდა სურდა, მაგრამ ახუნდოვმა მოისურვა ჩამოსულიყო იმ პერიოდის ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრში, თბილისში და სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. მართლაც, 1934 წელს, იგი თბილისში ჩამოვიდა და მთელი ცხოვრება აქ გაატარა. იყო თარჯიმანი, პოეტი, პროზაიკოსი, ფილოსოფიური ტრაქტატის ავტორი, ორთოგრაფიული საკითხებით დაინტერესებული თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა თურქული ენებისთვის არაბული დამწერლობის გამოყენებას, რასაც არ ეთანხმებოდა სახელმწიფოს მმართველთა და ისლამის დამცველთა კასტა. ამიტომ, მისი იდეა ყურანისა და სახლმწიფო იდეოლოგიის ხელყოფად ჩათვალეს. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დიდი დამსახურების მიუხედავად, 1878 წლის 10 მარტს, 66 წლის ასაკში გარდაცვლილი მირზა ფათალი ახუნდოვის დაკრძალვაში მუსლიმებმა მონაწილეობა არ მიიღეს და ის რჯულის მოღალატედ გამოაცხადეს ანტირელიგიური გამოსვლების გამო. მთავრობა იძულებული გახდა, ნახევრად გახრწნილი ახუნდოვის გვამი დაესაფლავებინა ბოტანიკური ბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მუსლიმურ სასაფლაოზე, თუმცა მის კუბოს არც ერთი მუსლიმი არ მისდევდა.

ცალკეა გამოსაყოფი ახუნდოვი, როგორც დიდი დრამატურგი. იგი დიდი ქართველი დრამატურგის გიორგი ერისთავის თანამედროვე და თანამებრძოლია. მათ პირველებმა გაუკაფეს გზა თავიანთი ქვეყნებისთვის ახალ ლიტერატურულ სახეობას დრამატურგიას და ამ ფორმით პირველებმა ასახეს ამიერკავკასიაში ახლადფეხადგმული კაპიტალისტური წყობით გამოწვეული ცვლილებები, საზოგადოებრივი დარღვევები.

წიგნი დასურათებულია უნიკალური და საინტერესო ფოტოებით.

ძვირფასო მკითხველო, მე შევეცადე, ზოგადი წარმოდგენა მაინც შემექმნა იმ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნის შესახებ, რომლის ავტორიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი თანამემამულე, ეთერ ღვინიაშვილი გახლავთ.

წიგნის პრეზენტაციის შემდეგ, ღონისძიების ნამყვანმა და ორგანიზატორმა, მაყვალა მელაძემ, სიტყვა ეთერის დედას, ნუნუ ლეკაშვილს დაუთმო. ქალბატონმა ნუნუმ მღელვარება დაიოკა და ასე მიმართა დამსწრეთ: – მაშინ, როცა სრულიად ახალგაზრდას ფეხაუდგმელი და ენაამოუდგმელი ორი უსუსური ბავშვი ხელთ შემრჩა ნაადრევად დაქვრივებულს, მეგონა, ბედნიერი აღარასდრის ვიქნებოდი. მადლობა ღმერთს, დღეს შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რადგან ცალუღლად დარჩენილმა ქალმა შევძელი და ორი კარგი შვილი გავუზარდე ქვეყანას და ჩემს თავს. თავის დროზე მათ მომცეს ძალა, არ დავცმულიყავ, მებრძოლა, მეშრომა და... შედეგი სახეზეა. ვამაყობ, რომ ცხოვრებაში ისინი სწორი გზით მიდიან, მყარად დგანან მშობლიურ მიწაზე და ქვეყანას კეთილსინდისიერად ემსახურებიან. ეთერი მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ზურაბი მაგთიკომის თანამშრომელია. ის „ღირსების ორდენის" კავალერია. ორივე დედაქალაქში ცხოვრობს, ორივე დაოჯახებულია, მყავს ოთხი შვილიშვილი. გალაღებული ვარ მათი სიყვარულითა და ყურადღებით. მადლობა ყველას, ვინც ეს ღამაზი დღე მოგვიწყო მე და ჩემს შვილს, ყველა სტუმარს, ვინც მოვიდა და დაგვაფასა.

– ჩემთვის სიახლე იყო ეს თემა. ძალიან დამაინტერესა. გმადლობთ, რომ წიგნი მაჩუქეთ. აუცილებლად წავიკითხავ. ჩვენ, ქართველებს, გვაინტერესებს ჩვენი წარსული და არაბებიც ხომ ჩვენი ისტორიის ნაწილია. საინტერესოა, ჩვენ რომ ვსწავლობთ ჩვენს მიწაზე არსებულ სხვა ერების საფლავებს, ქართველთა საფლავებს თუ სწავლობენ და ამაზე თუ არის წიგნები? – თავისი გამოსვლის დასასრულს დასვა რიტორიკული კითხვა **თამარ თამაზაშვილმა, მერიის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა დამსწრეთ გაზაფხულის მოსვლა, ქალბატონებს მარტის დღესასწაულები მიულოცა და მადლობა უთხრა ეთერ ღვინიაშვილს საინტერესო და განსხვავებული თემის წარმოდგენისთვის.

-მეამაყება, რომ ეთერი ჩემი თანასოფლელია და ასეთი წარმატებული მეცნიერია. ვუსურვებ წარმატებებს - **თქვა სამრეკლოს მაჟორიტარმა დეპუტატმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა.**

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა **კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ახლადდანიშნული დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი,** რომელმაც მიიღო მრავალი მილოცვა და სურვილი, რათა მისი ხელმძღანელობით დარგმა ურთიერთთანაგდომით მიაღწიოს წარმატებებს, ეკონომიკურ გაძლიერებას და სიმშვიდეს. თავის მხრივ ბატონმა ილიამ, მიულოცა ქალბატონ ეთერს წარმატებები და დასძინა: „ადამიანს რა წარმატებებიც გინდა ჰქონდეს, მშობლიურ ფესვებს არ უნდა მოწყდეს. მიხარია, რომ დღეს თქვენ აქ ხართ. რომ არა ეს შეხვედრა, აქ მყოფნი ვერც თქვენს შესახებ გავიგებდით და ვერც იმ იშვიათი დარგის შესახებ, რომელსაც თქვენი ნაშრომი ეხება. კვლავაც წარმატებებს გისურვებთ. მადლობა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასეთი ლამაზი და შინაარსიანი დღისთვის".

ღონისძიება დაამშვენა მხატვრულმა განყოფილებამ. სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებულმა ტრიომ, გაიოზ ხუციშვილის, ნანა უძილაურისა და ნატო ჩიბუხაშვილის შემადგენლობით, დაატკბო მსმენელი ლირიკული სიმღერებით. ბიბლიოთეკის აქტიურმა ნორჩმა მკითხველებმა: მარიამ ჯეთერიშვილმა, ნუკი სისაურმა, მერიკო წყარუაშვილმა, ელენე გოგილაძვილმა, მარი ყორჩაშვილმა და თაკო ჩიბუხაშვილმა ლექსები მიუძღვნეს დედებს, გაზაფხულს, ქალებს.

სამადლობელო სიტყვაში ეთერ ღვინიაშვილმა თქვა: „დიდი მადლობა მოწვევის, დაფასების, კეთილი სურვილების და თბილი სიტყვებისთვის. ვეთანხმები ბატონ ილიას, ადამიანი თავის ბავშვობას, თავის ფესვებს არ უნდა მოწყდეს. დღეს თავს ბედნიერად ვგრძნობ თქვენს გარემოცვაში. რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას სოფლიდან წასვლის შემდეგ, გეტყვით, რომ ამ სპეციალობის შესახებ არც კი ვიცოდი და არც მიფიქრია, ფილოლოგიურზე ვაბარებდი. მერე ერთმა ახლობელმა მირჩია აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ჩაბარება. საინტერესოა, ჩვენ რომ ვსწავლობთ ჩვენს მიწაზე არსებულ სხვა ერების საფლავებს, ქართველთა საფლავებს თუ სწავლობენ და ამაზე თუ არის წიგნები? – თავისი გამოსვლის დასასრულს დასვა რიტორიკული კითხვა **თამარ თამაზაშვილმა, მერიის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა დამსწრეთ გაზაფხულის მოსვლა, ქალბატონებს მარტის დღესასწაულები მიულოცა და მადლობა უთხრა ეთერ ღვინიაშვილს საინტერესო და განსხვავებული თემის წარმოდგენისთვის.

-მეამაყება, რომ ეთერი ჩემი თანასოფლელია და ასეთი წარმატებული მეცნიერია. ვუსურვებ წარმატებებს - **თქვა სამრეკლოს მაჟორიტარმა დეპუტატმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა.**

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა **კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ახლადდანიშნული დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი,** რომელმაც მიიღო მრავალი მილოცვა და სურვილი, რათა მისი ხელმძღანელობით დარგმა ურთიერთთანაგდომით მიაღწიოს წარმატებებს, ეკონომიკურ გაძლიერებას და სიმშვიდეს. თავის მხრივ ბატონმა ილიამ, მიულოცა ქალბატონ ეთერს წარმატებები და დასძინა: „ადამიანს რა წარმატებებიც გინდა ჰქონდეს, მშობლიურ ფესვებს არ უნდა მოწყდეს. მიხარია, რომ დღეს თქვენ აქ ხართ. რომ არა ეს შეხვედრა, აქ მყოფნი ვერც თქვენს შესახებ გავიგებდით და ვერც იმ იშვიათი დარგის შესახებ, რომელსაც თქვენი ნაშრომი ეხება. კვლავაც წარმატებებს გისურვებთ. მადლობა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასეთი ლამაზი და შინაარსიანი დღისთვის".

ღონისძიება დაამშვენა მხატვრულმა განყოფილებამ. სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებულმა ტრიომ, გაიოზ ხუციშვილის, ნანა უძილაურისა და ნატო ჩიბუხაშვილის შემადგენლობით, დაატკბო მსმენელი ლირიკული სიმღერებით. ბიბლიოთეკის აქტიურმა ნორჩმა მკითხველებმა: მარიამ ჯეთერიშვილმა, ნუკი სისაურმა, მერიკო წყარუაშვილმა, ელენე გოგილაძვილმა, მარი ყორჩაშვილმა და თაკო ჩიბუხაშვილმა ლექსები მიუძღვნეს დედებს, გაზაფხულს, ქალებს.

სამადლობელო სიტყვაში ეთერ ღვინიაშვილმა თქვა: „დიდი მადლობა მოწვევის, დაფასების, კეთილი სურვილების და თბილი სიტყვებისთვის. ვეთანხმები ბატონ ილიას, ადამიანი თავის ბავშვობას, თავის ფესვებს არ უნდა მოწყდეს. დღეს თავს ბედნიერად ვგრძნობ თქვენს გარემოცვაში. რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას სოფლიდან წასვლის შემდეგ, გეტყვით, რომ ამ სპეციალობის შესახებ არც კი ვიცოდი და არც მიფიქრია, ფილოლოგიურზე ვაბარებდი. მერე ერთმა ახლობელმა მირჩია აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ჩაბარეო. პირველივე წელს ჩავირიცხე. მეოთხე კურსზე ვიყავი, ახალი საგანი რომ დაგვეწყო - ეპიგრაფიკა. შემოვიდა ძალიან ლამაზი ქალბატონი, მისმა საუბრებმა კიდევ უფრო მომხიბლა. ეს გახლდათ პროფესორი ცისია კახიანი, დიდი გიორგი ლეონიძის დისშვილი. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და გრძელდება დღემდე. 1998 წელს დავამთავრე ინსტიტუტი არაბული ენისა და კულტურის სპეციალობით. 2009 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. 2004 წელს ვსწავლობდი სირიაში არაბთა რესპუბლიკის ალეპოს ენების უნივერსიტეტში. 2006 წელს ეგვიპტეში კაიროს უნივერსიტეტში, შემდეგ ვმუშაობდი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ამჟამად ილიას უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების მკვლევარი გახლავართ. ყოველ არდადაგებზე ვსტუმრობ ჩემს სოფელს: ერთ ზაფხულს იოსებ მენთეშაშვილის საოჯახო მუზეუმს ვესტუმრე. აქ ვნახე ძალიან საინტერესო დიდი ქვა ეპიტაფიით. გავშიფრე. ეს იყო მომთაბარე ტომების ჩანაწერი არაბულ ენაზე, მაგრამ მის შესახებ ცნობები იოსების ქალიშვილმა, ლამარამ ვერ მოძებნა. აქ ხომ ზღვა მასალაა დაგროვილი. სამწუხაროა, რომ იგი რომელიმე მუზეუმის საკავში არ ინახება. ჩემს მომავალ საძიებო საკითხს შეადგენს თბილისის არაბულენოვან წარწერებზე მუშაობა. მყავს მეუღლე ნოდარ კუტიბაშვილი, რომელიც ძალიან მიწყობს ხელს მუშაობაში".

ღონისძიებას მერიის და კულტურის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დედას მხარს უმშვენებდნენ მისი შვილები: 9 წლის ელისო და 7 წლის საბა.

ვუსურვოთ წარმატებები ჩვენს თანამემამულე მეცნიერს.

ნაირა გორაშვილი

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ პედაგოგ დარეჯან შანშაშვილს - დედის და პედაგოგ თამარ კიკილაშვილს - ბებიის

ელიკო (ელენე) შანშაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნათელა პოპიაშვილი-ბენაშვილი იუწყება თანაკლასელ

ელიზბარ ღორაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს ელიზა სულაშვილს და შვილების-ემზარ, ინგა და ირმა ღორაშვილების ოჯახებს.

ნიაზი და სოსო ჯანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ირმა ღორაშვილის და გია ჩალახეშაშვილის ოჯახს მამის

ელიზბარ ღორაშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

გიორგი გიეგაშვილი



ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო საყვარელო შვილო, გიორგი, როგორ მეჯავრება გაზაფხული, განსაკუთრებით მაისის თვე, რომელმაც თავდაყირა დააყენა ჩემთვის მთელი სამყარო, დღე, როცა მეხის გავარდნასავით გაისმა შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლა 20 წლის ასაკში.

ჩემთვის და შენთვის გაჩერდა დრო. დედას შვილი აღარ ჰყავს და შვილს – დედა. ჩემო გიორგი, ორივეს სიხარული დამთავრდა. ყოველთვის შენი ჩუმი ღიმილი და შენი სახე მიდგას თვალწინ.დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე. სიცოცხლისთვის, სიყვარულისთვის იყავი მოსული ამქვეყნად, ამიტომაც დატოვე დაუვიწყარი სახელი შენს მეგობრებსა და ახლობლებში. ყველას აკლიხარ და ენატრები. გაუსაძლისია უშენობა დედისთვის, მამისათვის, ძმისთვის.

24 მარტს შენი დაბადების დღეა. მტკივნეულია, რომ მას უშენოდ აღვნიშნავთ. როგორც ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე, მოგილოცავთ და დაგინთებთ სანთელს. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ვაჟკაცო.

შენი ოჯახი

ნიკა სეფიაშვილი



15 მარტი – ნიკას გარდაცვალება.

28 მარტი – ნიკას დაბადების დღე.

ჩვენო მარად 15 წლის ვაჟკაცო, ცამეტმა ცრემლიანმა წელმა გაიარა, რაც დაგვტოვე და უფალთან მარადისობაში გადაინაცვლე. შვილო, ძალიან გვენატრები მე და მამაშენს, როგორ დავიღალეთ შენზე ფიქრსა და მოგონებებში, ვიცი, აღარ დაბრუნდები, მაგრამ მაინც გეძებ, როცა მარტო ვარ, ხშირად მესმის შენი ფეხის ხმა, „დეეს" ძახილი, დაფეთებული გეძებ, მაგრამ ამაოდ.

ახლა რამხელა ვაჟკაცი იქნებოდი, ცოლ-შვილიც გეყოლებოდა. ძალიან რომ გიყვარდა შენი ამხანაგები დაოჯახდნენ და შვილებიც ჰყავთ. ილოცე მათთვის, რომ დიდხანს იცოცხლონ და შენი სახელი დავიწყებას არ მიეცეს, ილოცე ზუკასა და ნინოსთვის, მათზე ხომ დიდი ამაგი გაქვს და პატარა ნიკასათვის.

ჩვენო სიცოცხლევ, 28 მარტს 28 წლის გახდებოდი. ოქროს დაბადების დღეს გილოცავთ, ნიკა, უფალთან იყავი ბედნიერი. უფალო, ნათელში ამყოფე პატარა ნიკას სპეტაკი სული. მე კი, სანამ უფალი ინებებს ვილოცებ და ვიზრუნებ შენი სულისათვის. დღე და ღამე შენზე ფიქრში, იქნებ რამე დამავიწყდა, იქნებ რამე დაგაკელი, მაპატიე, შვილო, ნიკა.

შენი ოჯახი

ჯემალ ქეთელაური



20 მარტი – დღე, როდესაც დაიბადა ჯემალ ქეთელაური. 63 წლის გახდებოდი, ჯემალ... შენს გარეშე შენი დაბადების დღე მტკივნეული და მწარეა, არ ვართ ბედნიერები, არ გვიხარია, რადგან ვერ ვხედავთ შენს ბედნიერ თვალებს, ვერ გეხუტებით...

მეტი გზა არ დაგვრჩენია, აქედან მოგილოცავთ და აღგინიშნავთ დაბადების დღეს. გაგიხსენებთ, მოგეფერებით. იმედია, შენზე მოგონებები ცოტათი მაინც მოგვიშუშებს იარებს. ჯემალ, ძალიან გვენატრები, გვეყვარები და გვემახსოვრები.

შენი ოჯახი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო	ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება
1	ქ.დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.37.107	916კვ.მ.	3700	10%	5%	100

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი
ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.37.209	88კვ.მ	72	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;
   კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);
   კოდი- 300533047 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარა);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

ბიბლიოთეკარები სტუმრად საბავშვო ბაღში

გაზაფხულის ერთ ღამაზ დღეს №2 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ორივე ჯგუფის აღსაზრდელებს, რომელთა ჯგუფებსაც საკმაოდ ღამაზი სახელწოდებები აქვთ, „გვირილას“ (აღმზრდელი მარინე ხიჟჩენკო-ჯორკოშვილი, თანაშემწე ელზა ბენაშვილი) და „ცისარტყელას“ (აღმზრდელი თამარ ღომსაძე, თანაშემწე მაია ბენაშვილი) ესტუმრნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნაირა კაისაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე თათია ბენაშვილი და მეთოდისტი ნინო კვიწინაშვილი.

ღონისძიება მიეძღვნა რიგით პროექტს „წიგნის დრო“. თემატურ საღამოს უძღვებოდა ბაგა-ბაღის მეთოდისტი ნ. თამაზაშვილი, საღამო მუსიკალურად გააფორმა მუსიკის მასწავლებელმა აზა ლაპიაშვილმა.

ორივე ჯგუფის ბავშვებმა წარმოადგინეს ინსცენირებები ქართველი მწერლების ცნობილი ნაწარმოებებიდან,. აქ იხილავდით პერსონაჟებს ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“-დან და ასევე, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“-დან. ნორჩებმა უმღერეს დედა ენას, სამშობლოს. .. შეასრულეს ცეკვა „ქართული“. ბავშვებმა გამოამჟღავნეს საკმაოდ კარგი ცოდნა გარემომცველი ბუნების, მათემატიკის, ხელოვნების სფეროში, რაც მასწავლებელმა კითხვა-პასუხის რეჟიმში ამოწურა... პატარებმა მხატვრულად წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს თავისი ხელით შექმნილი ნამუშევრები: „ქვაზე წერა“, წიგნი „პეპი გრძელი წინდა“ (წიგნის შექმნა), „ბრაილის შრიფტი“.

ეკრანზე ფოტო-სლაიდების მეშვეობით მოგვითხრეს ამბავი : „სტუმრად ბიბლიოთეკაში“. აღსაზრდელები ერთმანეთს ეპაექრნენ გამოცანების გამოცნობაში...

ღონისძიების დასასრულს ორივე ჯგუფის აღმზრდელებმა და მათმა თანაშემწეებმა მუსიკის მასწავლებელთან ერთად შეასრულეს სიმღერა „ქარი გიმღერის ნანასა“. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა მადლობა გადაუხადა №2 ბაგა-ბაღის გამგეს მანანა ტოკლიკიშვილს , სააღმზრდელო ცენტრს, აღმზრდელებს ასეთი საინტერესო და ღამაზი ღონისძიებისათვის და ბავშვებზე ზრუნვისათვის.

ბავშვებმა სტუმრები საჩუქრის გარეშე არ გაუშვეს და ბიბლიოთეკას თავისი ხელით შექმნილი ნამუშევარი უსახსოვრეს.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

საშაურმე **„დავითმა“** განაახლა ფუნქციონირება. აქ მომხმარებელს კვლავ სთავაზობენ შაურმას და გამაგრილებელ სასმელებს. **მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №53 (სამაშველო სამსახურის მოპირდაპირედ).

☎ 557-23-92-22

ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯია“ სთავაზობს სუროგატ დედობას 19-დან 39 წლამდე ქალბატონებს 15 000-დან 17 000 დოლარამდე ანაზღაურებით.

ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ: ☎ 599 980 886

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 25.03		სამშაბათი 26.03		ოთხშაბათი 27.03		ხუთშაბათი 28.03		პარასკევი 29.03		შაბათი 30.03		კვირა 31.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
1°	0°	1°	-1°	6°	5°	8°	3°	2°	1°	3°	2°	7°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.